W 1

ფასი 30 კ.

№ 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი.

თავისუფლება.

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

შინაარსი.

1. ქართველი ძეგლის წინ, ლექსი, აკაკისა. 2. ჩემი ბრალია, ჩემი! ა. ხაბულიანისა. 3. შუაღამისას, 5. ზენობნიელისა. 4. პირველი განათლების შუქი სოფლათ, პიესა, ჯანდაბასი. 5. ჩემ სამშობლოს, ლექსი, მინა რაპველისა. 6. ბეტედი, კ. ჰამსუნით, გ. ე--ძისა. 7. რუსეთის რევოლიუცია, გულკეთილისა. 8. ზოგიერთი ფიქრი, ხომლელისა. 9. სადღეისო, სერგი ბახტაძისა. 10. ლითონი და ომი, ვ. მოძველისა. 11. სიტყვა ვ. მილიუკოვისა. 12. სიტყვა ა. კერენსკისა. 13. სიტყვა, კარლო ჩხეიძისა. 14. სხვა და სხვა ამბავი. 15. როგორ მოხდა. 16. რომანოვების დინასტია. 17. რედაქციისგან. 18. შეცთომის გასწორება.

1 მარტი 1917 წ.

ქუთაისი

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქ., სახ. ქოკიელოვისა.

თავისუფლება № 1.

1 მარტი. 1917 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ქართველი ძეგლის წინ. *)

გონება ნათელს, გძნობა ბწყინვალეს,
უნდა შევჩივლო, მოხუც ვარანცოვს,
რო, როგორც მის დროს, ჩემ სამშობლოში,
მგელი და კრავი ერთად ვეღარ ძოვს.

რაც მის დროს იყო, წაღმა დახნული,
დღეს ულგნურება უკუღმა ფარცხავს
და შუამდგომლათ, აწ საქართველოს,
როგორც მოსარჩლე, აღარავინ ყავს.
ცილსა წამობენ, შეურაცყოფენ,
უზღუდვენ ყოვლ-გვარ კაცურ უფლებას,
ფარისევლობით უკვლენ მას გულში
თანა-მერჯულნი ძმურ-ერთგულობას.

რათა და რისთვის? ალლაჰმა უწყის....
ანგარიში აქვთ რამ საპირადო,
წმინდას ამღვრევენ, რომ ამღვრეულში,
მათ ინადიროან უფრო ხშირადო..
ასე ფიქრობენ სულ-ყველა ერთად:
მოძღვარ, მსაჯული, ერი და ბერი,
ბედის საძებრათ დაგმოხვეწილნი,
ჩვენში გრიგალით გადმონაბერი.

საღვდელოება იმას არ ფიქრობს,
რო გაამტეცოს რჯული ქრისტესი.
პირ-იქით. ცთილობს, რომ ამოიფხვრას
საქრისტეანო რიგი და წესი.

*) ეს ლექსი ჟურ. „ცხოვრების“ № 3-ში ცენზურმა სულ დაიჭირა, მზოლოთ ახლა ისტამბება იგი აქ პირველათ.

ჩემი შეგირდობის დროს, მახსოვს, აკაკის გესლით სავსე, სარკასტული ლექსი იყო დაწერილი დონდუკოვ-კორსაკოვზე, იანოვსკიზე და პაველ ექსარხოსზე, ეს ლექსი საიდუმლოთ ხელნაწერათ ვრცელდებოდა 80-იან წლებში. დიდათ საჭიროა, თუ ვისმე-კი აქვს, ან იცის ზეპირათ ეს ლექსი, ახლა დაისტამბებოდეს.

აგრეთვე ცენზორის წყალობით, ილიას პოემა „აჩდილში“ გამოტოვებულია თელი სამი თავი. თუ ვისმე აქვს შენახული „აჩრდილის“ ძველი ხელთ ნაწერი პოეტისა, ფრიად საჭიროა გამოქვეყნდეს ახლავე ესეც.

რედაქტორი.

გვიქადაგებენ, რო ქართველები
საქრისტეანოს არ ხართ შვილიო
და სახარება თქვენი, თურმეა,
ძაღლის ენაზე დაწერილიო.

არც ხატი ვარგა თქვენი, არც ჯვარი.
ვინ მოგცათ წმიდა მოწამენიო,
უარ ყავთ თქვენი ყოველიფერი:
წირვა და ლოცვაც იყოს ჩვენი...

დედა ენაზე, სალმრთო ენაზე,
აღარ გვაძლევენ ჩვენ ლოცვის ნებას.
მათგან გამოზდილ მოზარდ თაობას.
თვითონ უკარგვენ სარწმუნოებას..

და, როცა მათი გაწვრთნილ—გაზდილნი
შეურაცყოფენ ხატსა და ჯვარსა,
მაშინ ქართველებს მიზეზს გვიკრეფენ
და ცილს გვწამებენ სხვა და სხვა გვარსა.

სად გაგონილა, ან თათრობის დროს,
რო ხატებს გმობდენ ჩვენი შვილები,
დღეს-კი სკოლებში შეურაცყოფენ
ვასტორეოვების გამოზდილები...

და, რაც ვერ შეძლო ჩვენში თათრობამ,
ის მოახდინა თანარჯულობამ..
დასცა ზნეობით საქრისტეანო
ეაუტანლობამ და უგულობამ.

შენ რო გვიქადდი და გვპირდებოდი,
აბა, სად არის ის დაპირება.
ძველი წაგვართვით, ახლას არ გვაძლევთ,
გაწყდა კავშირი... ერთობაც ქრება.

ამას შენც ხედავ და, ეგებ, მიტო
გაქვავებულხარ თავ-ქუდ მოხდილი,
რომ უსამართლოთ ტანჯული ერის
გაიზიარო გულის ტკივილი...

კურთხეული იყოს საქართველოში
შენი სახელი, შენი ხსენება
და მათ, ვინც შენს გზას გადაუხვია,
რისხვა ქრისტესი და შეჩვენება.

აკაკი.

ჩემი ბრალია, ჩემი! *)

III

გაზაფხულის პირზე მუდამ ჩამომტირალ-ჩამოღვრემილი მთებიც-კი იცინიან და ხალხთა გულობა-გონებას ანავარდებენ თავიანთ ათას ფეროვანებით. თფილისის ირგვლივ ხრიოკი მიდამოები, ახალ ზურმუხტში გახვეული, ჩვეულებრივზე მეტათ იზიდავდა ადამიანთა მხედველობას და ბაღები, თუ გარეშე მიდამონი, ყველას თავისკენ იტაცებდა. სასომ და თინამაც ერთმანეთის შეუკითხავათ გაიწიეს და, ცოტა ხნის შემდეგ, მამა დავითის აღმართს მიყვებოდენ.

— შენ მე დამატყვევე, მიკვირს ჩემივე საქციელი: სიყვარულს, ოცნებათ ვთვლიდი; რომანები, ეს ხალხის გასართობ ზღაპრებათ-უსაქმო მწერალთაგან, უსაქმურობის ნაყოფათ მიმაჩდა. მარა ახლა-კი... მაპატიეთ, მაპატიეთ, თუ... ოჰ, ვერცი-კი მითქვამს, რის თქმაც მინდა; გულობა-გონებას აღარ ემორჩილება, სიტყვა უძლურია. ჩემ სურვილს, მხოლოთ ჩემ სახეზე ამოიკითხავ...

— თქვენ ხუმრობთ, ალბათ. მე გამიგონია, კაცები ფარისევლებია და ასეთი სიტყვებით ატყვილებენ ქალებსო, მართალია?— არ ვიცი, ნათქვამი, როგორ უნდა გადათქვა ადამიანმა, სწორეთ ვერც წარმომიდგენია, მარა...

— ჩემი ნათქვამი შეურყეველი და წინდაწინ მოფიქრებულია, იცოდე, თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ... მარა მითხარი, რო შენც გიყვარვარ, რო გეყვარები.

— თინამ იცბიერა, ის საგონებელს მიეცა და, შემდეგ, მას თავით მიეყრდნო. სიჩუმე ჩამოვარდა. ისინი გზის პირათ ჩამოჯდენ შესასვენებლათ.

— მე სრულიათაც არ მინდა შენი დატანჯვა; ჩემი თავი შენ ხელშია... მეც მინდა გავიგონო სიტყვა. მითხარი, მართალა, გიყვარვარ? მითხარი, მითხარი, იცოდე ათასჯერ და მუდამ, თორე, ისე გული ვერ მოისვენებს.

— ბევრი ლაპარაკი მატყუარა ფარისევლთა წესია; მე მინდა ჩემი ერთი სიტყვა მართალი იყოს და ცალიერი მართალი-კიარა, სარწმუნოც?

— არა. ერთი სიტყვით და დუმილით მე ვერას მივხვდები. ნუმოიმიწამლავ სიცოცხლეს... მითხარი, მითხარი ბევრი, ბევრი რამ. მითხარი და გადამიშალე გული, ჩამახედე შიგ... ჩამახედე ყოველ მის კუნჭულში, რომ...

ამხანათ, მართლაც, ბევრი რამე უნდოდა გაეგონა თინას სასოს პირიდან; ეს იქნებოდა მათ შორის დამოკიდებულობის საკითხი, თუ სხვა რამ, ეს სულ ერთი იყო. ოღონდ ელაპარაკნა, ესმინა, რო მათ-შორის ერთ წუთსაც არ გაევლო სიჩუმით. მარა, სასო ასეთ ლაპარაკს ყოველთვის გაუფრხოდა, მისი სიტყვა მუდამ ცოტა და გარეგანი შეხედულებით მტკიცეც იყო. ამიტომ იყო, რო მისი ბადე ბევრს გადაფარებია თავზე, თუმცა ახლაც, როგორც წინათ, მრავალჯერ ასეთი რამ არ გამოსჭვივოდა მისი ლაპარაკიდან, რაიც ვერც თინას დაკვირვებამ შენიშნა. მარა მისი სიჩუმე, ე. ი., ხან გამოჭვებით ლაპარაკი მაინც წამლავდა თინას გულს და ის მუდამ ჩაძახოდა: ჰოკი--რას იტყვი, მითხარი რამე დასხვა და სასოსგან წელზე შემოხვეულ ხელის გათავისუფლებას სრულიათაც არ ცთილობდა.

— ჰი—კი, კარგი, რათ გინდა ამდენი კითხვა? მაპატიე, როცა ასეთი ჩაცეებული კითხვები მესმის, პასუხის ნაცვლათ, სულ სხვა მაგონდება; მაგონდება, თითქოს, რომელიღაც მეცნიერი ჩაკირკიტებს თავის გამოსაკვლევ საგანს, რომელსაც-ჯერ ვერ მიუგნია სასურველი საიდუმლოების ამოსახსენი და დაჯერებულია-კი ოდესმე მიაღწევს ამას და რაღაცა ძალას, უჩინარ ძალას, თავის და ულებურათ, ეკითხებოდა: ა... ა... და ისევ განაგძობს შრომას. ჰო, საგანს გადაეცთი; ნუ ცთილობ, გაიგო, თუ რააი ჩემ, ან სხვის გულში, ამას არც მე გეკითხები, დაუჯერე მის სიჩუმეს-კარჩაკეტილობას, რომელიც შეიძლება... და ასეც უნდა

*) იხ „ცხოვრება“, № 3.

იყოს, აუხსნელ გამოცანათ დგას შენ, ან სხვის წინ, თორე...

— თორე, ნუ თუ საეჭვო უნდა გახდე ჩემთვის ა... სოსო მითხარი!..

— სრულიათაც არა. სიყვარული-ბედნიერება და სრული სიტკბოება იქ არსებობს კიდე, საცა გამოსაცნობათაა დარჩენილი, თორე ამოცნობის შემდეგ, ჩემი ფიქრით, იგი მნიშვნელობას კარგავს; ბუნება იმიტომაცაა ასე ძვირფასი, ასე დიადი ყველასთვის, რო მისი საიდუმლოება ჯერ კიდე ვერ აუხსნიათ სრულიათ; თითქოს მიწვდენ ამ სასწაულს მისნი მკვლევარნი. მარა, ყოველ ცთის შემდეგ, კვლავ ახალნი უცნობნი რამ აღიმართენ მათ თვალწინ და ასე, როდესაც მის სრულ გამოცნობას შეძლებს ადამიანი და გაიგებს, სრულ საიდუმლოებას, მაშინ სიცოცხლეს ფასი აღარ ექნება და ვაი, თუ!.. ამის შემდეგ, საკითხი გადაჭრილათ უნდა ჩაითვალოს; ნუ ჩაიხედავ ჩემ გულში, მე სრულებითაც არ მინდა ჩავიხედო შენს გულში: მე მინდა, მეკუთნოდე შენ თელი არსებით ისე, ვით მე გეკუთვნი ახლა და ასე...

— რამდენიმე ხნის დასვენების შემდეგ, ასეთი მუსაიფით მიადგენ თინა და სასო მამა დავითის ზღუდეს.

— ღმერთო ჩემო! სადაა ადამიანთა სიცოცხლე დამარხული: გრიბედოვის ფართე შუბლქვეშ დაკვირვებით გამომყურალე თვალები, ახლა დიდ ლოდ ქვეშ ამოფარებული, რომელსაც ახლა ირგვლივ ქვისა და რკინის კედლები, თუ კარები არტყია და შიგააჩაკეტილი, ბევრ რასმე ეუბნებიან პირველსავე შემსვლელს. დიმიტრი ყეფიანს ქედი ჯერ კიდე არ მოუხრია დ კვლავ ისევ შორს გაიყურება, თითქო ცის დასავალზე ეძებს რაღაცას... ილია ჭავჭავაძის შავით მოსილ მანდილოსანს ტუჩები უკრთიან, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, მარა... მათშორის აკაკის ობოლი საფლავი — ეს საამქვეყნიო დიდი კელაპტარი, სევდიანათ გაცქერის დიდუბეს, ამ გმირთა სავანეს და ნაღვლიან მგოსანს რაღაცას იდუმალებით გადაცემს...

— გაინტერესებს ყველა ეს? აქვს რიამე მნიშვნელობა შენთვის ამათ, ამ ჩვენი წარსულის შვენებათა აჩდილებს, ან აწმყო-მომავალს და ამ სამომავლოო წამოყენებულ საკითხს?!. — შეეკითხა სასო თანის.

რასაკვირველია! წარსულმა შობა მომავალი; ცვალებადობა მუდმივი თანამგზავრია კაცობრიობისა და, მიუხედავათ ასეთი ცვალებადობისა, ყოველი დრო და დროს შესაფერისათ მოაზროვნენი, უნდა სათაყვანონი იყვენ, აუცილებლათ. მარა მიკვირს-კი რატომაა, რო ჩვენი ახალი მწერლები, ახალი მოამაგენი არ გადაყურებენ აქიდან ამ ქალაქს, ამ ზღვა ხალხს?..

— იმათი დეკიზი არ აი ზერელე და ზევიდან უცქირონ ცხოვრებას. ისინი თვით ხალხის გულში არიან, თვით ქალაქის ცხოვრებაში, იქ აბობოქრებულ-აზვირთებულ ტალღებში ატარებდენ დროს; სიცოცხლის დღეებს და სიკვდილის შემდეგაც იქ არგუნა ბედმა მათ ყოფნა. ამას ისინიც არ უფთხიან...

— ოცნებაა... სიცოცხლე ბძოლაა დაუსრულებელი, და, თუ სიცოცხლეში რაიმე მნიშვნელობა-კი ქონდა ამას, სიკვდილის შემდეგ, სადაც-კი არ უნდა იყვეს მათი გაციებული გვამი, ერთია და მით უმეტეს, ასეთ შვენიერ არე-მიდამოში ჯობია სამუდამო განსვენება.

— იქნება, ასეც იყვეს. მე სწორეთ მოგახსენო, პრინციპიალურათ მოწინააღმდეგე ვარ მაგ ხალხის. მარა არ შეშიძლია ვთქვა ის, თუ რა იქნება შემდეგ: მოხდება ჩემში ცვლილება, თუ არა, ერთი-კი ცხადია; მომწონს მუშაობა მათი, მომწონს და ვერ უარყოფ, რომ ასეთი თავდადებული ხალხი მოეცეს, რომელიმე არსებულ პარტიას, ჯერ ჯეროობით. რაგუყოთ, რომ ასეთია მათი ხვედრი; იცოდე, რო მხოლოთ სიცოცხლეში ბედნიერნი, ან ბედნიერთაგან დაფასებულ-სათაყვანოთა ხვედრია, სიკვდილის შემდეგაც, სასურველი ჯილდო: ტანჯულთ, თავიანთსავით, ტანჯულნი ახლოს ურჩევნიათ და, როცა დაკრავს საათი მათთვის სასურველი, როგორც ისინი უწოდებენ, ისინიც უმალვე ჩაძახებენ თავიანთ მოამაგეთ გამარჯვებას... უფრო დაახლოვებით, რო ვთქვათ, ქვეყნიერების ამბავს.

— არა მსურს ამ ჟამათ გეკამათო, არა

და ო... სასო თავს რაღაც სუსტათა ვგძნობ; ალბათ, დავიღალე.

— სასომ ენას კბილი დააჭირა. იმას თითქმის შერცხვა თვისი საქციელისა, შერცხვა იმის, რომ იმან ჩვეულებრივ ზომას მიმართა ახალგაზდა და ჯერ სრულიათ მისთვის უცხო ადამიანის ხელში ჩასაგდებათ, რაიც თინასთვის სრულიათ მალული და შეუმჩნეველი იყო. შეცხვა, რათგანც მისი დაკვირვება შეხედულობით, თინა სრულიათაც არ გავდა სხვებს, აი, იმათ, რამელნიც სასოს სხვერპლნი გამხდარიყვენ და, ამ შემთხვევაში, იმან თავი დამნაშავეთ იგძნო. მარა ქურდობაზე ჩვეულთა ასე ადვილათ ვერ ააღებიებთ ხელს თავის მოქმედებაზე, თუმცა სირცხვილის ოფლში ისინიც-კი იწურებიან. დიახ! სასო დამნაშავე იყო ამდროს, იმიტო რომ იმან მალულათ ჩაუყარა, წყლის დალეეის დროს, რეზინის სასაში მათრობელი ძილის მომგვრელი ფხვნილი, რომლის შედეგიც აშკარა იყო თინას სისუსტე-დაღლილობის. სასო კარგათ დაუფიქრდა თავის მოქმედების ცუდ მხარეს; მოაგონდა რამდენიმე სხვერპლი, ასეთი საშვალებით შეწირული და ამ წუთში ბოროტება და სათნოება-სიკეთე, ერთმანეთს დაუპირდაპირა... მარა სათნოებას ბოროტებამ ძლია და თვისი ნამოქმედარი კანონიერათ აღიარა: „რავუყოთ, როცა სხვა გზა არ არი ზოგ ადამიანთა დასამორჩილებლათ, ან სანამ უნდა ვეღიტინოთ თითო-მეორეს. ცოა ბედის მონახევრეთ, რაც უნდა მოხდეს, მოხდეს. მორჩა და გათავდა“-ო. გაიფიქრა მან და თინას სახეს დაკვირვებით ჩააჩერდა.

— რა იყო, ჩემო სულის დგმავ? რავუყოთ დაიღალე, დავჯდეთ, აი, აქვე, ამ ბილიკზე. მართალია, ამ ბალს სწორი მდებარეობა არა აქვს, მარა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება აქ დაჯდომა-დასვენება; გაივლის დაღლილობის შედეგებიც და ისევ წავალთ.

— სასომ მამადავითის ეკლესის გვერდით, ფერდობ ხეივანს თვალი მიმოავლო, რო დასაჯდომ-წამოსაწოლი ფართე ადგილი მოენახა და რა-კი მონახა, შემდეგ, ცას ახედ-დახედა და რა-კი უკვე ბინდდებოდა, ამითაც კმაყოფილმა თინას დასაჯდომი ადგილი შეთავაზა.

— ჩამოვჯდეთ აქ, თინა! ჩვენ აქიდანც შეგვიძლია, ვესაუბროთ ამ სასაფლავოებს-მიდამოებს და სხვათა, ისეთივე ჩუმი ჩურჩულით, როგორც მათ ესაუბრებოდა ნიავი, მთის ნიავი.

— ჰო, კარგი. მარა ჩემთან უნდა იყო... ძალიან სუსტათა ვარ... სასო გიყვარვარ, მართლა, მართლა, გიყვარვარ ხომ?..

— ! იტყვას მე საქმით დაგიმტკიცებ, დაგიმტკიცებ იმას, რო მე შენ მიყვარხარ.

— მერე პირველია ეს სიყვარული, თუ...

— იქნებ, მიტომაც შემბოჭე ასე, რო პირველია-იცბიერა სასომ.

— მჯერა... მე შენ გენდობი და ბედნიერივარ, ბედნიერი, მარა... როგორმე თავი უნდა მივდვა აქ ცოტა ხნით, ხო მომცემ ნებას; ხომ არ მომშორდები?

— მიწექ, გენაცვა, მიწექ, როგორ შეიძლება, მოგშორდე! აი, ჩემი მოსახურავიც, წაიდე.

— ეს მეტია... ამდენი...

— არა, დაიჯერე. მე უფროკარგათ ვიცი, რო შეწუხდები ისე. სასომ თინას მოსახურავი წაუგო, თვით გვერდით მოუჯდა და ალერსით ცთილობდა თინას შექცევას. თინაც უპასუხებდა ხანგამოშვებით და რამდენჯერმე, კიდეც ცადა ადგომა, მარა ყოველთვის უძლური გამოდგა. ბოლოს, მოდუნდა-დაუძლურდა და სრულიათ მიეძინა. სასომ მიმოიხედა, კარგა დალამებულიყო. თვარე არ ანათებდა ციდან, მარა მთა-წმიდის არე მარენი, ქალაქის აბობოქრებული და დაუდეგარი ცხოვრება და მის ქუჩებისა და სახლების ჩირაღდნები უწევდენ თვარის მაგიერობას, ხოლო მოსაუბრეთ ყავდა მტკვარი, ნელად მოდუდუნე და ცის მოელვარე ვარსკვლავები. ყველა ესენი, მოწმენი სასოს ვერაგული მოქმედებისა, რომლებიც, თითქოს ამხელდენ მის ცუდ საქციელს და, ამავედროს, უთვალ-თვალებდენ, თუ, როგორ გაჯიჯგნა ამ უკანასკნელმა თინას სული-და გული, ან როგორ დაიწყო მის ჯიბეებში და პორტმანში ხელების ფათური, რომელშიაც, სხვათა შორის, იპოვა სანდროსგან წინადღით ქუთაისიდან მიწერილი წერილი, და ალბათ, ის თუ იყო მიზეზი წერილის ამდენ ხანს გადარჩენისა, რო თინა ერთი

მისი წაკითხვით ვერ დაკმაყოფილდა და რო კვლავ წაეკითხა, შეინახა დროებით. სასომ აქა-იქ ჩაიკითხა წერილი თვით მნათობელის საშვ-ალებით, რითაც, თითქმის საკმაო საბუთიც ამოჩდა მისი ცუდი საქციელის გასამართლებ-ლათ და სრულიათ კმაყოფილი თვისი მოქმე-დებით, მოლოდინში იყო, თუ როდის გამოი-ღვიძებდა თინა.

ა. საბულიანი.

(შემდეგი იქნება).

შუალამისას!

შუალამისას, ცისფერ ცაზე,
როცა ვარსკვლავნი აიშლებიან
და მათი სხივნი დაბლა მიწაზე
გაიბნევიან და გაწვებიან
და, როცა თვარე, სუბუქი რხევით,
ღრუბელთა შორის, ტოკავს ნარნარათ
და, როცა დაბლა, დაბლა სულ ქვევით,
მნათობ ქალწულათ ჩამოდის წყნარათ...
მე ლოცვათ ვდგავარ დაბლა, ქვეშეთში,
და ცას შევყურებ ამ დროს ვედრებით
და სული ჩემი შორს, ვარსკვლავეთში
მე დამატარებს ძიების ფთებით...
ამ დროს, მხურვალეთ ლოცვებს აღვავლენ...
აღვავლენ სიტყვებს ხელებ აპყრობით
და, მეც არ ვიცი, საითქენ დავლენ,
გატაცებული ციური გძნობით.
მე მავიწყდება, ამ დროს, ყოველი,
ეემშვიდობები მე ყველაფერსა,
ისე მიტაცებს ლოცვა ცხოველი,
ვით მონასტერი წვერ-თეთრა ბერსა.
ამ დროს, მე მინდა, რო ცას ესმოდეს,
დაბლა ქვეშეთის ღაღადი მწვავი;
ამ დროს, მე მინდა ცის სიდიადეს
და თელ სამყაროს მოვხვიო მკლავი...
ამ დროს, მე თავი, მიუსაფარი
უძლეველ ღმერთად წარმომიდგება;
ამ დროს, ზღვა გულთქმის მე ვარ მხატვარი,
ამ დროს, ყოველი მემორჩილება...
ამ დროს, ვივიწყებ მე ყოველივეს,
ვივიწყებ ამბავს ჩემი ყოფნისას
და, ფიქრს მივყვები, ფიქრს მოლივლივეს,
ხელებ გაწვდილი -შუალამისას.

ნ. ზენოგბნიელი.

პირველი განათლების შუქი სოფ-ლათ.

დრამა. სამ მოქ.

(ვუძღვნი სოფლათ წარმოდგენების მმართავ წრეებს)

მოქმედი პირნი:

ბერო, გლეხი — — — — — — 60 წლის.
სერგო (
(ამისი შვილები — — — — — 24 წ.
თედო (— — — — — — — 12 წ.
სტეფანე, სოფლის მკურნალი — — — 50 წ.
ტასია, ამისი ცოლი — — — — — 45 წ.
გოგია, აზნაური, ახალგაზდა ინტელიგენტი — 21 წ.
ნელიკო, გოგიას ამხანაგი, გიმნაზიის მოწაფე — 18.
თეკლე, გოგიას დედა — — — — — 40 წ.
ზინა, მწყესი, გლეხის გოგო — — — — 14 წ.
ლუბა,(
ნინა, (საქონლის მწყესები — — 13-დან 18 წ.
გალინა(.
I, II, III, IV, საჯარისკაცო ბიჭები, რამდენიმე მწყესი გოგო და მაყრები ხმა გაუღებლათ.

მოქმედება პირველი.

სცენა: ამწვანებული, ამაღლებულ გორაკებიანი მიდორი. დგას რამდენიმე მოზდილი ხე. შვა სცენაზე ნიგვზის ხეა, რომლის ძირში სხვილი ხის მორი აგდია. სცენის სიღმრეში თხმელებია ჩამწკრივებული, თხმე-ლებს უკან აქა-იქ გემოჩანს პატარა მდინარე. მოშო-რებით მოჩანს დაქანებული, ღელეებისგან დაღარული ტყეები, რომელთ შორისაც მედიდურათ ამართული მოწ[illegible]თალო კლდე სუროს ფოთლით შესუდრული. ნელათ მოისმის წყლის შხუილ—ჩხრიალი და ფოთოლთა შრიალი.

—

სერგო (შემოდის საჩქაროთ, დაუსტვენს და ხელს უქნევს ვიღაცას)—ოჰო, ქე არ წამო-ვიდა... მე, აგერ, ჩამოვჯდები, სანამ მოვიდო-დეს... ძლიერ დავიღალე ამ ხეტიალში (ჯდე-ბა მოჭრილ ხეზე, ცოტა ხანს სიჩუმეა. ბო-ლოს, შემოვარდება ზინა, წითელი კაბით და თეთრი წინსაფარით, მივარდება და კისერზე ჩამოეკიდება.) უჰ, შენ-კი გენაცვალე! (გადა-ეხვევა და კოცნის) მოკვდი შენ ლოდინში, დილას აქით აქ დავეხეტები და ხელში ძლივს ჩაგიგდე... ნუ მტანჯავ, ზინა!..

ზინა.—რა ვქნა, გოგოები არ დამცილდენ და ახლა ძლივს გამოვასწარი წინ... საცა, ისინიც ამორეკენ საქონელს.. (ჯდებიან).

სერგო.—აღარა ვარ, ზინა!. მომკლა

შენმა სიყვარულმა და მასთან ერთად-ყოველ დღე ამ სიშო-ეზე თრიალმა. მარტო წუღის ყიდვას ვერ გავუძელ, სხვა რომ არ იყოს რა. ამ ქალაქის ოდენა დღეს, სულ აქ ვაღამებ და, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ ვბრუნდები შენი უნახავი. სახლშიაც ამიტყდენ, რავა ტყუილა დაეთრევი და არაფერს აკეთებო... ასე რომ, ან აქ ვავდ ვარ, ამ ფხეწებში, ან სახლში ვჩხუბობ, მეტი ჩემგან არა კეთდება რა. ნუ მტანჯავ, შენ გენაცვალე, ბარემ, წამომყე და მომარჩინე ამ ტანჯვას!.

ზინა. — პატარა დამაცალე, ეს საქონელი მყავს აბარებული და, მერე, ყოლიფერს მოვესწრებით. ნუ ჩქარობ...

სერგო. — რაღა ნუ ვჩქაროფ!. ვერც გავძელი შენი უნახავი, არა და სულ ბრაზიან ძაღლივით დავწანწალებ!

ზინა. — არაფერია, არა გაგიჭირდება რა!

სერგო. — შენ პატრონს, რა მიჭირს. მარა მეჩქარება, ასე მგონია, წარმართმევს ვინმე — თქო შენ თავს.

ზინა. — ნუ შიშობ, ცოცხალს ვერავინ წამიყვანს და კვდარი, ვის რათ უნდევარ.

სერგო. — ძალით ვერავინ წაგიყვანს, თუ ნებით არ წაყევი.

ზინა. — გინა მაგრე მიყურებ?!

სერგო. — გიყურებ რაა, ეი, გოგია რომ არის, ის რაზე გელაპარაკება ხოლმე?. უფრთხილდი იმას... მოგატყუებს... მე ასედაც გავიგე, რო კაკალ ქვეშ ელაპარაკებოდა ზინასო... მერე... ხელიც მოხვია და მკერდი დაუსრისაო... მარა ამას-კი გეტყვი!.. იცოდე, თუ დაგინახეთ სადმე ერთად, ცოცხალს არ გაგიშვებ!..

ზინა. — ტყუილია, შენ გენაცვალე! ტყუილი უთქვამს ვიღაცას. ნუ, ნუ დაუჯერებ, ბევრს ეხარბება ჩვენი ამნაირი ყოფნა და უნდათ რითმე გადაგრიონ. მარა ნუ დაუჯერებ, იცოდე, ნუ!

სერგო. — კარგი ეს თუნდ ტყუილი იყოს, მარა უფრთხილდი, მეც არსად დაგინახოთ, თორე (მოხვევს ხელს), შენ გენაცვალე! შენ რო გხედავ, ასე მგონია, ქვეყანა ჩემიათქვა (ამ დროს, მოისმის შორიდან ხმა:.. ზი... ნა... გო... გო... ზი.. ი... ნა..ა... სად ჯანაბას დაიკარგე. გოგო, სა... და.. ზინა წამოვარდება ზეზე).

ზინა. — არიქა, ნინა მიძახის. (გადის საჩქაროთ და გაძახის): „აქა ვარ, ნინა ი.. ა... ქა, აქ ამორეკე ჩომები(* ამ ქალაში და ამოდი ი... ა... ქა.“ (შემოდის) ახლა ქე წადი შენ, თუ არა ნინამ, თუ მოგვისწრო, მერე, უყურე სეირს...

სერგო. — კი, შენ გენაცვალე. ახლა ქე წავალ, მარა იცოდე, ხვალ ამ დროს აქ ვიქნები და, უსაუთოდ, მოდი... ეცადე. იქნებ, სხვა გოგოები დეიცილო..

ზინა. — კარგი, ვეცოები. ოხ, უსათუოდაც მოვალ.

სერგო. — (გადაეხვევა) მშვიდობით... არ დაგავიწყდეს...

ზინა. — ეგ თუ დავივიწყე, სხვა რაღა უნდა გამახსენდეს! (სერგო გადის.) ნეტაი ვინ უთხრა, გოგია ელაპარაკებოდა და ხელსაც ხვევდაო. არა ის ვიღაც ბაჭი იყო, რო მოგვისწრო, სწორეთ ის ეტყოდა... ჩამოჯდებადა წყნარათ და მღერის: ჩამეხლართა მე გულში:

ოხვრა, კვნესა, ვაება,
ვერვის გავუზიარე.
ანკესები ჩაება...
ახლა მსურს უკუ ვაგდო,
ყველაფერი ფიქრები,
მას მკერდში ჩავეკვრები,
მუდამ მასთან ვიქნები..

ნინა. — (შამოდის სიმღერის გათავების დროს.) ვის ეკვრები, გოგო, გულში მაგრე მძლავრათ?..

ზინა. — ვინც მე მინდა!.

ნინა. — შენ ყველა ვინდა, ვისაც დაინახავ..

ზინა. — ხო და ყველას, რო გამოვცთი ბოლოს, იმას ჩავეკვრები სამუდმოთ, ვინც უფრო მძლავრათ ჩამიკრავს გულში.

ნინა. — ხო, კაი დაგემართოს, დაია, სწორეთ მაგრე, უნდა, აპა, სადა!..

(* ე. ი., საქონელი, ხვადაგი.

ზინა.—სწორეთ ასე უნდა. მაშ, ქმარი როდესაც ბატონათ დაგიჯდება, მაშინ არ გეყოფა მარტო მისი უმადური გულში ჩაკვრა და მონობა!..

ნინა.—ეხ, კარგი ერთი. თორე მაგისანა სისულელეებს შენ მის დღეში ვერ გაათავებ.. მართლა, სად წამოსულხარ, გოგო აქა?!.

ზინა.—საქონელი ი ჩდილოში შევრეკე კორტიზი ალარ უჯდეთქო. მეც დამცხა და ქე წამოვედი აქით.

ნინა.—მართლა კაი ადგილი ქე არი აქანა.

ზინა.—(თითით უჩვენებს მდინარეზე) ექანა არ იყო, რო ბზნაურის ბიჭებმა მოგვასწრეს ბანაობაზე?. ჰო, ჰო, ჰო, რავარი გევიქეცით ი ეკლებში შიშველი, სულ დავიკაწრე... ტანი.

ნინა.—ტანისამოსი რო წაეღოთ, მაშინ რაღას ვიზამდით!? უნდა შიშვლები გამოვკიდეებოდით უკან, აბა, მეტი რაღა გზა გვქონდა...

ზინა.—თუ გამოვეკიდებოდით, იმათაც ის უნდოდათ. მარა ტანისამოსს სულ არ მიკარებიან.

ნინა.—თურმე, დიდხანს ქე გვიყურეს ჩირგვებიდან. მერე, რო მოგვაძახეს: „აპა, თავს უშველეთო.“ რავა გადავცვინდით, უგზო-უკვლოთ, თხებივით, ჰა!.

ზინა.—სულელები ვართ! თუ იმათ არ ცხვენიათ, გოგო, ჩვენი, არც ჩვენ უნდა შეგვრცხვეს!. გვიყურონ რა! ისინი გულზე გასკდენ, რა გვენაღვლება ჩვენ!?

ნინა.—ვაი, შენ გაგისკდა ეგ თავი... თუ მაგრე, გინდა აყურებიე რა!. მე გიშლი, თუ ? (პაუზა).

ზინა.— სხვა გოგოები, რეიქნეს გოგო?

ნინა.—ისინიც აქით მორეკენ საქონელს. აცა არიან, ქე ამოვლენ.. რო მოვდიოდი აქით. ფია, გალმიდან ჩამოირბინეს გოგიამ და ნელიკომ, ბადით მოდიოდენ.. ვინ იცის, რა არ მიძახეს: „აქით გამოდი, არ შეგეშამ, ნუ გეშინიაო, არაფერი გაგიჭირდებაო.“ მარა მე ხმა არ გამიცია, ისე წამოვედი აქით.

ზინა.—შენ ქე შეგეშინდებოდა!? რასაც დამიძახებენ, უარესს მე დოუძახებ, თუ იმათ არ ცხვენიათ მისანა ლაპარაკის, არც მე შემცხვება. მარა ჩემს მეტს, ყველას ენა ჩაგივარდებათ ხოლმე. აპა, მე თუ დოუთმო რამე!. (შემოდის ლუბა, გალინა და რამდენიმე გოგო.)

ლუბა.—აქ რათ ამოსულხართ, ბანაობას ხომ არ აპირობთ, ჰა?

ნინა.—იბანავე და აქ არიან ისევ აზნაუ რის ბიჭები..

ზინა.—ერთი თქვენ იმათი გეშინიათ, მოვიდენ და გვიყურონ, რაცხას გამორჩებიან!. რისი გეშინიათ, წამო, ვიბანაოთ, თუ გინდა!

გალინა. თუ არ გეშინოდა, ი ეკლებში რას მიფხაწურობდი?!.

ზინა.—მაშინ არ ვიცოდი, ისე მოუფიქრებლათ გავიქეცი. ახლა კიდეც რო დავინახო, ფეხს არ მოვიცვლი, წამოთ, ვიბანაოთ.

ლუბა.—არა, არა, რო მოვდიოდით, ქვეით თევზაობდენ და მოგვისწრებენ... ჯერ აიარონ და, მერეც, მოვესწრებით.

ზინა.—აპა, რა გავაკეთოთ, მოდით ჩდილში დავჯდეთ, თორე ძალიან სიცხე ჩამოწვა: (ზოგი მოჭრილ ხეზე ჩამოჯდება და ზოგიც იდაყვს ჩამოდებს და ძირს წამოწვება.) მომწყინდა, რამე მაინც მოყევით, თავი გავირთოთ.

გალინა.—მაშინ არ მოგწყინდება, საყვარელი რო გიჯდეს გვერდში.

ზინა.—დიახაც!. აბა, თუ დააღე პირი და იყავი ისე, მარტო ბუზები ჩაგინცვინდება პირში და ახალგაზდობის დღეები-კი მოუხმარლათ გამოგიქრებათ ხელში.

ნინა.—ნუ გეშინია, შენ-კი იხმარ! მართლა და ძალიან გიყვარს სერგია?.

ლუბა.—რაიო?. მაგ უნამუსომ რო სიყვარული იცოდეს, მეორე ძმასაც დაუწყებს დევნას!.

ზინა.—რავა, თუ დევნას?!. რომელიც მითხოვს, იმას წავყვები.

გალინა.—მერე, გოგო ერთმა, რო გიოხოვოს, მეორეს რათი გინდა, რო უყურო?.

ზინა.—ის მე ვიცი!..

ლუბა.—მართლა. ზინა, ი ავარდნილი ძროხა, რო წამოგიყვანია, გოგო, გინდა რო აწყვიტო საქონელი სიმშილით?! სახ-

ლში ვერ დატოვე, გოგო!.

ზინა.— სახლში ვის დავუტოვებდი, დაია?!.

ნინა. — ეი, გოგო, წამოდით დავუჭიროთ ჩემ მოზვერსა!. („წავიდეთ, გოგო წავიდეთ.“ წამოიძახებენ ზოგიერთები, წამოცვინდებიან ზეზე და გარბიან შემოდის თედო.)

თედო.—უჰ!. რა ხანია, მარტო ვერსად ვნახე... მგონია, ახლაც ვერ შევიხვედრო, ასე დავბრუნდე სახლში, რა ვქნა, რა მოვახერხო.. ასე მესმის, რო ჩემი ძმაც მეცილება, თურმე. მარა მაშინ აღარც ძმას ვიკითხავ და აღარც სხვას .. ორივეს მოვკლავ... ოხ, ეს სალდათობა მაინც მქონდეს გადაცილებული და სხვას არაა დავეძებ. შევირთავდი და ის იქნებოდა... მარა ეს სამი წელიწადი?!. ჯერ სამი თვე თქვი კაცმა და, მერე, სამი წელიწადი. სამ წელიწადს-კი არა, ეს სამ კვირას ვერ მოიცდის, ისე აქ თვალები გამოჭინული და სამ წელიწადს რა მოაცდევიებს?!. სულ ტყუილია, მის სიტყვას ვერ დავუჯერებ... მარა რა ვქნა! . რა ვიღონო, რა მოვახერხო... რა ჯანდაბით გადავიცილო ეს სალდათობა?.. ვერაფერი ვერ მომიფიქრებია, მხოლოთ სალდათათ წასვლა—კი არ შემიძლია. რო წევიდე, მერე, ვის დავუტოვო ეს ჩემი მკვლელი?!. ჩემი ტვინი სულ გალაყებულია ამ სიცხეში თრიალით და არაფრის მოფიქრება არ შემიძლია... ნეტა მაინც ვაკეთებდე რამეს და, მადლიობა ღმერთს!.. ეს რო არ გამხდომოდა საფიქრებლათ, ძალიან მინდოდა სალდათათ წასვლა, რუსულს მაინც ვისწავლიდი და კაი იყო!.. მერე, რო შემხდებოდენ ბარიშნები ერთს დაუძახებდი: პოჟალიტ სუდა-თქო, და ე-ე, რა კაცი ვიქნებოდი!. იქნება, ჩინებსაც ქე მივიღებდი იქ და, მერე, გეყურებია ბარიშნებისთვის, რავა ბუზებივით შემომედებოდენ!.. მარა, რას გამომიტყვრა აქანა, სულ მაგ მიდგია თვალ წინ... დაფეთებულივით ვაცეცებ თვალებს, იქნებ, დევინახო სადმეთქვა, და განა რუსეთს რო წევიდე, მაგის უნახავი, გავძლებ?!. უნდა უსათუოდ, მოვახერხო რამე, თვარა ნამდვილ დევილუპები!. ამ გოგოს გამომაცლიან ხელში და დავრჩები პირში ჩალა გამოვლებული... უჰ, ახლა უნდა დევიმალო, თვარა, აგერ, ისინიც მოდიან, (გადის. შემოდიან გოგოები სიცილით და ერთმანეთის ჯიკაობით.)

ნინა.—გოგო, დაააბი ახლა ძროხა, თუ არა საქონელი დაგიმტვრევს.

ლუბა.—თუ დაამტვრე არც მაგაზე დევიკლავ თავს, ვინ იცის, სანამ ის ხბოს მოიგებდეს, ეგ სადით გადაფრინდება.

გალინა.— მაგის იმედი გქონდეთ, ერთი დედაბრის და გასათხოვარი ქალის არ იყოს, და დროზე გეშველებათ!.. (ამ დროს, მოისმის შორიდან ხმა: „არიქა, სიმიდმა საქონელი შეჭამა, სი..მი... დმა.“)

ზინა.—არიქა, გალინა, გეიქეცი. თვარა ნამდვილათ დეიჭერენ, არიქა ჩქარა. (გალინა გაიქცევა.) ახლა მაინც ჩევიდეთ, გოგო, წყალში. არ ამოუვლიათ ი ბიჭებს?!,

ნინა.—ჯერ არ ამოუვლიათ, მარა საცაა, ამოვლე.

ლუბა.—რითი თევზაობენ, გოგო?.

ნინა.— რითი და სასროლი ბადით.

ლუბა.—მოდი ერთი ქვები დავუშინოთ წყალში და დავაფთხოთ თევზები!..

ზინა. – იქანა, გოგო, არც-კი უსვრიან ხოლმე ბადეს. რაღაცაზე ედება ხოლმე და იხევა. (შემოდის გალინა).

გალინა.– (ზინას) შენი წაბლა ხარი და ნინას ფერდელა ძროხა შესულიყვენ სიმიდში და ერთს კალოს ოდენზე სულ მოუსლაქამთ.

ზინა.— შეარგოს ღმერთმა.. რო სულ აქით ამოდენიდეთ დაია?ა

გალინა.—კი, დაია, აქ ამოვდენე ამ ფერდში.

ზინა.—მოდით ერთი, დაჯექით აქანა და ვიმღეროთ რამე. (ჯდებიან, ზოგი მოჭრილ ხეზე, ზოგი ძირს და მღერიან: „წინა, ნინა, ჩემო ნინას“, „გალიაში“ და სხვა და სხვა გადამახინჯებულ სიმღერებს) დეიწყე, ეპა, გოგო შენ ერთი „ნინა, ნინა“. (მღერიან.) ახლა სხვა დეიწყეთ, რამე (მღერიან. სიმღერის გათავების შემდეგ, ზინა წამოხტება ზეზე.) აბა, გოგო, მოდი ვითამაშოთ ახლა, თორე მუხ-

ლები მეტკინა. (წამოცგინდება ყველა ზეზე, და დაიწყებენ მუსიკის მაგიერათ: „კანტი კუ-ნტალა კუტა“... ამას ვაიძახიან მწყობრათ და თანაც გახურებულ ტაშს უკრავენ. თითო ოროლათ გადადიან და ცეკვავენ. ამ დროს, შემოდიან გოგია და ნელიკო. ერთს ბადე აქვს ბეჭზე და მეორეს—თევზიანი ჰარკი. შემოსვლისთანვე მიაძახებენ: „ეაშა, ეაშა, ბიზ, ბიზ).“

გოგია.—ერიჰა! ეს ძალიან კონრეტი გაუმართავთ აქა. (გოგოები ხმას გაკმენდვენ და ერთი მეორეს აკვდებიან სიცილით.)

ნელიკო.—რას შეკრთით და გაჩუმდით? ჩვენი შეგეშინდათ?!. ნუ გეშინიათ, არ გადაგყლაპავთ!.

გოგია.—(ზინას) ჰეი, შენ, წითელ კაბა! ერთს, თუ მაკოცნიეფ, ამ თევზით სევსე ჰარკს სულ შენ მოქცემ.

ზინა.—მანამდის არაფერი შეჭამა შენმა ლრანჭებმა!.

გოგია.—არაფერი შეჭამა რა, შენმა სიცოცხლემ, კვეყანას შეაბერდები!. მალე მტერი მომიკვდეს, შენი წითელი ლოყები ბიის დაეზგასოს! აშურო სიცოცხლე, თორე ხვალ რა მოგელის, იცი?!. ჩახვალ სამარეში გაუხარელათ და მაგ ათქვირებულ მკერდში შავი მიწა ჩაგაწვება ლამაზი ყმაწვილების მაგიერათ, ცხოვრებას, ვინც მოიხმარს, მისია, იცი?!.

ზინა.—ჯავრი ნუ გაქვს, როგორაათაც შენ გგონია, ისე ვერ შემჭამს მიწა!..

ნელიკო.—(გოგიას) ერთი შენც მოუყევი კიდევ ახლა ფილოსოფიას!.

გალინა.—ამოირჩიეთ, რომელიც გინდათ და მე გავირიგებთ.

ნელიკო.—რაღა სხვას მირიგებ; შენმა თავმა, ქვა გესროლა?!.

გოგია.—მე ეკ წითელ კაბა გამირიგე, ახლავე შეკაყოლებ „შამორევასკენ.“

გალინა.—კი ხო, მოიყვანე კაი სედლიანი ცხენი და გაგატან!.

ზინა.—შენი გასატენებელი, შენ გეყოლება!..

გოგია.—დაუკარით ერთი კიდევ ტაში, მეც გამოგეთამაშებით, არ გესმით! (გოგოები იცინიან) მაშ, მე გათამაშებთ, თქვენ, თუ არ გინდათ!. (შეერევიან მიგ და ხან ეროს წაავლებენ ხელს, ხან—მეორეს და უვლიან „ვალს“... მარა, როგორც იქნება, ხელიდან დაუსხლტებიან და დაფეთებული გაცვინდებიან. ნელიკო ხეზე ჩამოჯდება, გოგია ძირს წამოწვება და მოჭრილ ხეს ჩამოეყრდნობა.

(შემდეგი. იქნება.)

ჯანდაბა

ჩემ სამშობლოს.

ადესის ქარი, ცეცხლის ქარი, ბურავს თეთრ სივრცეს,
ცეცხლი ფლობს მიწას-ჯოჯოხეთის, ცას-შავი რიდე...
სიცოცხლე, ტკბილი იმედები ცივ სიკვდილს მიცეს...
სისხლში მცურავი კვნესის, გოდებს თლად კიდით კიდე!
წყვდიადის ნისლით ვიმოსებით, ქრება ნათელი!
ყოფნის წალკოტში შავმა არ ყოფნამ გაშალა ფთები...
გაცივდა გძნობა, გასულ-გულ ქვავდა ესე სოფელი,
სიბრალულის ცეცხლს ვეღარ აღვიძებს გოდების ხმები...
შენ-კი მცირე ხარ, მცირე, ვითა ზღვის ერთი წვეთი,
ობლათ შთენილი, უთვისტომო და უმეგობრო!..
გული სდუღს-გული შხამ ნაღვლით, ვით ჯოჯოხეთი!..
მსურს მოგეშველო და არ ძალ მიძს, ჩემო სამშობლო!!.

ჭირს გაუმაგრდი!.. მხოლოთ ჭირს, ბედით, ჩვეული...
როდის იყავი, წამებულო, შენ მოსვენებით?
ვის არ უნახავს ემაგ შენი სისხლის რვეული!..
როდის სუნთქავდი, მშობლურ ცის ქვეშ თავისუფლებით?!.
ჩვენი ცხოვრების მრუდე გზა და ბნელი წარსული,
თავისუფლების შემმუსრავი და სულის მტერი,
თვით ადამის ძის გულით სავსე მფეთქავი გული—
გდევნიდა, რათგან იყავ და ხარ შენ შვენიერი!
გდევნიდა, რათგან ქრისტეს მცნებას იცავდი წმიდათ,
ობლათ იყავი, სვე უმწეო და უმეგობრო!...
ჰოი, რამდენჯერ შენვე შეგქნეს მკვიდრთა გოლგოთათ!..
ურიცხვი არი შენი სხვერპლი, ჩემო სამშობლო!!..

———

მარა არარა განსაცდელში აქამდი შენ შვილს
არ ჩაქრობია კვლავ ის ლონე და სულის ძალა.
ჰა, დღესაც იბძვი, ძველო ლომო, ებძვი ცივ სიკვდილს...
შავმა დრ[illegible] შენი სახე ჯერ ვერ წაშალა!...
იბძვი, იღებ სხვერპლს, დაუღლელათ, შვებისთვის ილტვი;
მარა, ვინ გიღებს სამეგობრო, საძმო გულის კარს?
სადაც გირგია და გითესავს თვალ მარგალიტი,
იქ იმკი შენთვის, უბედურო, მხოლოთ ნერ-ეკალს!...
. . . . . .
. . . . . .
ბდის მწარე ცრემლი... სისხლის ცრემლი... სულ გულმო-
შხამულს...
შენგან შორსავარ, განდევნილი უძმო, უმშობლო!....
შვილს მიკძალავენ ვერაგულათ დედის სიყვარულს!...
მსურს მოგეშველო და არ ძალმიძს, ჩემო სამშობლო!!..

იანვარი 1917 წ. **მინა რაჭველი.**

———

ბ ე ჭ ე დ ი.

(კ. ჰამსუნისა.)

ერთხელ საზოგადოებაში ვნახე ახალგაზდა შეყვარებული ქალი. ცისფერი თვალები სიყვარულისგან კიდევ უფრო გაცისფერებოდა და ჩვეულებრივზე გაცილებით მეტათ უბწყინავდენ. გადაჭარბებული გძნობების დაფარვა მას ვერ მოეხერხებია. ვინ უყვარდა მას ? აი, ის ბოხი ხმის პატრონი ახალგაზდა კაცი, სახლის პატრონის შვილი, რომელიც ფანჯარასთან ზის მუნდირში. და, რმერთო ჩემო, როგორ სიყვარულით აღსავსე თვალებით უცქერდა იგი ახალგაზდა კაცს. როგორ მოუსვენრათ იჯდა, თითქო ნემსებზე.

როდესაც ჩვენ ღამით ერთად საბლში ვბრუნდებოდით, — ჩვენ ძლიერ კარგი ნაცნობები ვიყავით ერთმანეთის — მე ვეუბნებოდი მას.

—როგორი წყნარი, დიდებული ამინდია? ხო მხიარულათ გაატარე დღეინდელი საღამო? და რო დამეკმაყოფილებია მისი დაფარული სურვილი, წამოვიძრე ჩემი ჯვარნაწერი ბეჭედი და განვაგძე:- შეხედე, შენი ბეჭედი დავიწროვდა ჩემთვის, ძლიერ მიჭერს! აი, მიეცი დასასრულებლათ.

მან გამომიწოდა ხელი და ჩაილაპარაკა:

—მომეცი, ვუბძანებ, რო დაასრულონ. და მივეცი მე მას ბეჭედი.

*
* *

ერთი თვის შემდეგ, მე ისევ შევხვდი მას. მინდოდა ბეჭდის შასახებ მეკითხა. მარა გადავიფიქრე. რა მეჩქარება, გავიფიქრე გუნებაში! ერთი თვე ძლიერ ცოტა დროა მისთვის, დავიცადი კიდევ.

იგი დარცხვენით თავჩაქინდრული მეუბნება:

—ხო, მართლა, ბეჭედი... უბედურება შემემთხვა, სადღაც დავდევი და დავკარგე.-და უცთის ჩემგან პასუხს, —გული ხომ არ მოგდის ჩემზე ამისთვის?-შიშით მეკითხება.

—არა, ვუპასუხე მე.

და, ღმერთო, როგორ აფრთოვანებული გამშორდა, როდესაც გაიგო, რო მე არ ვუწყრები მას ამისთვის.

* *
*

განვლო თელმა წელმა. მე ისევ ჯიყავი ძველ ნამოსახლარზე და როგორღაც ერთ სალამოს დავეხეტებოდი ნაცნობ გზაზე.

უცეფ, წინ შემეჩეხა ის ქალი. თვალები მას უფრო გაცისფერებოდა, ვიდრე იმ საღამოს და გაცილებით მტკათ უბწყინავდენ, ვიდრე მაშინ, ამავე დროს, პირის ნახევი გადიდებოდა და ფერ-მიხდილი ტუჩები შესაბრალისათ უკრთოდენ.

აი, შენი ბეჭედი, შენი ჯვარნაწერი ბეჭედი. მე ვიპოვე იგი, ჩემო კარგო და მივეცი გასასრულებლათ. ახლა აღარ იქნება შენთვის ვიწრო, და ამ სიტყვებით გამომიწოდა ბეჭედი.

მე შევხვედე საყვარლისგან მიტოვებულ ქალს, მის დიდ პირის ნახევს, მის ფერმიხდილ ტუჩებს. მე შევხვედე აგრეთვე ბეჭედსაც...

—დიახ, ვუპასუხე მე და მოწიწებით თავი დავუკარი, —ეს ბეჭედი ჩვენთვის საბედისწერო გახდა. ახლა იგი ძლიერ სრულია ჩემთვის.

გ. ე —ძე.

სუალკი.

15 იანვარი 1917 წელი.

რუსეთის რევოლიუცია*)

მდგომარე წლის, თებერვლის 27 პეტროგრადში მოხდა უდიადესი, უამნიშვნელოვანესი ამბავი, რომლის მსგავსი რუსეთის ისტორიას არ ახსოვს.

დემოკრატიის და მამაცი ჯარის ზურგით გამაგრებულმა სახ. დუმის აღამასრლებელმა კომიტეტმა, რომლის წევრები არიან: როძიანკო, კერენსკი, ჩხეიძე შულგინი, მილიუკოვი, კარაულოვი, კონოვალოვი, დმიტრიუკოვი, რჟევსკი, შიდლოვსკი, ნეკრასოვი და ლვოვი, დაამხო ძველი, ამყაყებული აბსოლიუტიზმის ტახტი რუსეთში და დაამყარა სრული და ჭეშმარიტი კონსტიტუციბლიზმი. ამიერიდან რუსეთში მოისპო ყოვლგვარი უპირატესობანი და პრივილეგიები, ქვეყანა ევროპის ხმელეთის ცივილიზაციის მადლით ეზიარა და მისი დამონებული, დესპოტიზმის ბინძური ფეხებით გათელილი „ობივატელი„ შეიქნა სრულიათ თავისფალი მოქალაქე.

ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, თუ ასე საჯაყათ, ასე თავმოსაჭრელათ გათავდებოდა სამარცხვინო, წაწყმედილი სიცოცხლე ნიკოლოზ მეორის საშინელი მტარვალობისა. ეს მტარვალობა სპობდა სიცხოცხლეს და მოძრაობას არა თუ რუსეთის, ტერიტორიაზე, არამედ ყოველგან, დასავლეთისკენაც და აღმოსავლეთისკენაც. ეს მტარვალობა დაუძინებელის მტრობით ებძოდა თავისუფალ ოსმალეთს, სპარსეთს ბულღარეთს, იაპონიას და სხვებს. მისი სურვილი იყო მოესპო ავსტრიუნგარეთი და იქავრი სლავიანები მონებათ გაეხადა. მოიგონეთ შარშანდელი ამბები გალიციაში, სადაც ნიკოლოზ მეორის აგენტებმა ნამდვილი ჯოჯოხეთი დაატრიალეს. ეს ჩთილოეთის ორთავიანი არწივი, რომელსაც

*) 1905 წ. გამათავისუფლებელ მოძრაობას ზოგიერთი მწერალი შეცთომით რევოლიციას უწოდებს.

ნამდვილათ-კი ახლა, ამ წლის, თებერვლის 27 მოხდა რუსეთის რევოლიუცია, როცა ძირს დაეცა ძველი, ქედუხრელი თვითმპყრობელობა და მისი ადგილი დაიჭირა ახალმა, თავისუფალმა კონსტიტუციონალურმა მთავრობამ. ავტ.

თვალები თელი ქვეყნიერების ჩასაყლაპავათ ქონდა გამოქაჩული და რომელსაც ერთი გამოჩენილი გერმანელი მარქსისტი ევროპის ხმელეთის ჟანდარმს უწოდებს, ერთბაშათ მოკვდა და თელმა ქვეყნიერებამ გულით გაიხარა და საქვეყნოთ დიდი ენტუზიაზმით ტაში დაქრა...

აქამდი თელ დედა მიწის ზურგზე მხოლოთ მარტო რუსეთის აბსოლიუტიზმი იყო ობლათ, ვით უკიანის კუნძელი, სადაც ხელ შეუხებელი, უშველებელი დესპოტია იყო გაღმერთებული და ამ უბედურ ქვეყანაში პარპაში გაქონდა დაუჯერებელს და ენით გამოუთქმელს ძარცვა გლეჯას, ჯაშუშობას ჯალათობას, კატორღას, ეშაფოტებს და ღალატსაც... დიახ... ღალატსაც.

იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას ეარშემოკრებილ მამულის მოღალატებს საიდუმლო მოლაპარაკება ქონდა გამართული გერმანელების შტაბთან, რიგა უნდა დავცალოთო.

ეს ამბავი გუჩკოვს აცნობეს. გუჩკოვმა დასამტკიცებელი საბუთები იმ წამსვე როძიანკოს გაუგზავნა სახ. დუმაში წასაკითხავათ. მარა რაძიანკომ ეს ვერ გაბედა... ეს ამბავი როძიანკომ მაშინვე მეფეს შეატყობია მეფემკი იმ წამსვე დუმის და, თხოვნის ბძანება გასცა... მარა სახ. დუმა არ დაემორჩილა ამ ბძანებას, არ დაიშალა 26 თებერვალს და ნაშვალამეევის ორ საათზე, შედგა ზემო დასახელებული აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც ნიკოლოზ მეორის დესპოტობას ძირბუდიანა ბოლო მოუღო. რუსეთის სახელოვანი არმიაც იმ წამსვე ახალ მთავრობას მიემხრო და რუსეთის დემოკრატიასთან ძმურათ ხელგადახვეული დღეს გულით ზეიმობს...

ამ მეოცე საუკუნეში, საოცარი, დიდ-დიდი ამბები განიცადა ზედი-ზედ რუსეთმა, რომელისაც ასე საშინლათ ეშინოდა აღმოსავლეთის იმპერიებს და დასავლეთის სახელმწიფოებსაც.

აღმოსავლეთის პატარა ყვითელმა კაცმა, რომელსაც ძველი რუსეთის ბძანებელის აგენტები დაცინვით „იაპონშკებს“ ეძახდენ, პირველათ საშინლათ დაამარცხა ხმელეთზეც და ზღვაზეც თიხის ფეხებზე შემდგარი ეს უშველებელი ნიკოლოზ მეორის სასაცილო იმპერია და ამ დამარცხებამ გამოაფხიზლა ხალხი, აამოძრავა დემოკრატია და რუსეთს შეძინა სახ. დუმა.

ახლაც, ამ უშველებელი საერთა შორისო ომის დროს. გერმანეთის უძლეველმა მახლმა ოცი უმდიდრესი გუბერნია მოგლიჯა რუსეთს და ერთის დაკვრით გადაჭრა დიდი პოლონეთის საკითხი. ამ გარემოებამ თლად მოჭრა თავი ძველი რუსეთის მტარვალობას, ამას ზედ დაერთო შიმშილი თელი რუსეთის. იმ რუსეთისა, რომელიც პირით ევროპის კაცობრობას არჩენდა... და, აი,

,,აივსო გული წყეთ — წყეთად,
ნაღველითა და შხამითა...''

და მოხდა რევოლიუცია...

რათქმა უნდა, ეს რევოლიუცია რუსეთის არმიის, მუშათა კლასის და ახალგაზდა ბურჟუაზიის შემოქმედობის საქმეა. აი, ესენი შეერთდენ და ამ შეერთებულ კოლექტივურ ძალაშია სწორეთ რუსეთის რევოლიუციის დღეინდელი დიდი გამარჯვებაც. მაშასადამე, რევოლიუციის საბოლოოთ გამარჯვებაც მის შეერთებულ ძალაში მარხია ღრმათ.

რასაკვირველია, ძველი რუსეთი თავის პრივილეგიებს და ისტორიულ უპირატესობას ასე ადვილათაც არ დათმობს და კონტრრევოლიუციაც მოსალოდნელია.

ახალი მთავრობა, დემოკრატია და თავისუფალი რუსეთის არმია თავის სასახელოთ შეკავშირებული, ამ ძველი რუსეთის ძალას დაეტაკება და ჩვენც ყველამ, განურჩევლათ ეროვნებისა და კლასთა, ქალმა და კაცმა, მოხუცმა და ყრმამ, მას მხარი მაგრათ უნდა დავუჭიროთ, ყოველი წუთი, ყოველი საათი, თელი ჩვენი გძნობა-გონება და სიცოცხლეც უნდა შევწიროთ რუსეთის რევოლიუციის სრულიათ გამარჯვებას.

ამიტომ უნდა დავიცვათ დიდი მოქალაქობრივი მშვიდობიანობა, სრული წესიერება და დისციპლინა. პოლიტიკური სულგძელი ცხოვრებისა, ძალადბახ, ძარცვა გლეჯას, პი-

როვნების შელახვასა და კერძო საკუთრების უგანაჩენოთ მითვისებაზე, მიუცილებლათ, ხელი უნდა ავიღოთ და გავსპეტაკდეთ, ავმაღლდეთ სულით და გულით თელი ჩვენი არსებით, რათგან ჩვენი კეთილი, საიმედო სურვილები და იდეალები თან და თან, თავისუფლათ გახორციელდებიან.

ჩვენ, ქართველები, რა თქმა უნდა, რუსეთის დემოკრატიასთან ვართ განუყრელათ, რათგან ის მიგვაჩნია ჭირსა და ლხინში, ჭმუნვასა და სიხარულში, ერთად ერთ დიდ საიმედო მოძმეთ, რომელიც გაახორციელებს და მიანიჭებს საქართველოს პოლიტიკურს ავტონომიას, დამყარებულსს სრულ დემოკრატულ საფუძველზე.

გულკეთილი.

2 მარტი.

ზოგიერთი ფიქრი*)

I.

ქართველების დიდი დაბეჩავება, გაუზომელი სილარიბე, ისეთი დიდათდიდი სატირელი, სავალალო საგანია ყოველი წრის, ინტელიგენციის ყველა მიმართულების, ქალისა და კაცის, ჭაბუკისა, თუ მოხუცისთვის, რო ჭეშმარიტათ, აღარ იცი, საიდან მოუარო ამ საგანს, რომელი მხრიდან დაუწყო მას კვლევა. რო გულდაჯერებული სამოთხის კარების გასაღებათ ნამდვილ, ჭეშმარიტ კლიტეს მიაგნო.

წინათ, თუ ამ საგანს საქართველოში ერთი, ან ორი გამწარებული მამულიშვილი შეეხებოდა, მის სტატიას, ან იმის საუბარს ორი ქართველიც არ წაიკვთხავდა, არ მოისმენდა. არ მოისმენდა იმიტო, რო ქართველების გულისა და კუჭის ტკივილიც მაინცადამაინც არც იყო ისეთი მწარე და ღრმა, და ქართველობაც სულერთიანა შუმი ღვინით შეზარხოშებული „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტის,“ უდარდელი შვილი მუდამ კარგ, მოსაწონებელ გუნებაზე ბძანდებოდა, მრავალჟამიერს ხშირათ მღეროდა და სურდა ნამდვილს აზიურ ლხენასა და ქეიფის დაუსრულებელ წუთებში გაეტარებია სიამენი სოფლისანი.

მარა გავიდა დრო... ამ ათი წლის განმავლობაში, ჩვენი თვალის წინ, შორს რომ არ წავიდეთ, აქვე, ჩვენშივე მოხდა დიდ-დიდი ისტორიული ამბები: რუსეთ-იაპონიის, ყოვლის მხრით შესანიშნავი, დიდი ომი, რომელსაც მოყვა რუსეთსა და ჩვენში დიდი მოძრაობა, თელი აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის ხმელეთზე ამტყდარი რევოლუციები შეიძრა და ფეხზე დადგა დიდი ინდოეთი, ისტორიული ეგვიპტე, სპარსეთი, ოსმალეთი, ბალკანეთის პატარა სახელმწიფონი და უზარმაზარმა, აქამდი ერთ წერტილზე გაყინულმა ჩინეთმა რესპუბლიკის დაარსებით ხო თელი ქვეყნიერება გააოცა... ჩვენი ქვეყანა იმ თავითვე, ისტორიის დასაწყისიდანვე, აზიისა და ევროპის გზათ და ხიდათ იყო გამხდარი და ყოველი დიდი მოძრაობა ხალხისა, ცხოვრების ცვლილება და თელი სოფლიოს ისტორიული მოვლინება უზედმოქმედოთ არა რჩებოდა ჩვენ ქვეყანას. ახლაც, ეს ჩვენი ტურფა ქვეყანა პატარა, ლამაზ ნავივით, გადაბმულია დიდ საკაკობრიო გემზე და ყოველი ჭირი და ლხინი, რომელსაც განიცდიდა ეს დიდი გემი უსაზღვრო ზღვის ღელვის დროს, ამ პატარა, ლამაზ ნავსაც არ რჩება განუცთელი. რასაკვირველია, ყველა ეს დასახელებული ამბავი ტრიალ მიდამოში ავარდნილ ქარიშხალივით დიდი ზარითა და ღრიალით ჩვენ ძველ გიგანტ კავკასიასაც მოხვდა გულში და თელი საქართველოც ძალზე შეარყია.

*) ეს სტატია 1914. წ. გაზ. „ერში„ დაისტამბა. მარა იმ ნუმერს, საცა იგი იყო მოთავსებული, კონფისკაცია უყვეს და არავის წაუკითხავს.
ახლა სწორეთ, როცა ამავე საგანზე მოუხშირეს წერა, ისეთმა ნიჭიერმა პუბლიცისტებმა, როგორც მაგალითად, ბ. ბ. გერონტი ქიქოძემ, ს. კედიამ, ვ. ლელიანმა, დ. არონიშიძემ და სხვებმა, ჩვენც აგვეძრა სურვილი ქართველთათვის ამ დიად საყურადღებო საგანზე მოვათავსოთ სტატია ჟურ. „ცხოვრების “ფურცლებზე.
ჩვენი დღეინდელი ცხოვრების ამ დიად მოვლინებას ვერც ერთი სერიოზული საზოგადო-პოლიტიკური ორგანო ვერ გაექცევა და მას ანგარიში, მიუცილებლათ, უნდა გაუწიოს, რათგან

„...ჯერ არ მომკვდარვართ,
ვცოცხლობთ ამ ქვეყნათ...“

ავტ.

ქართველის გძნობა,—გონება, თელი იმისი არსება ძლიერათ შეიძრა, ამიერიდან ფთხილად დაიწყო მან ყურება და იმის იდეალებიც გაფართოვდა, გამდიდრდა. უწინ, თუ ქვეყნის გამდიდრების, დიდი დოვლათის შეძენაზე გადამკვდარს მამულიშვილს დაცინვით „მილიონებზე მაღლა მყვირალთ“ ეძახდენ და ჩვენ საზოგადოებაში საპელს უტეხდენ, ღღეს ათასი, ათი ათასი და ასი ათასი ქართველი მზათ არი გულდასმით მოგისმინოს, ყური გიგდოს, თუ ჭკვიანს რასმე ეტყვი მას საქვეყნო სიღარიბის თავიდან ასაცილებლათ და ოდნავ მაინც დაუხატავ სამერმისო მოქმედების გზებსა და ბილიკებს.

წერილის დასაწყისშივე მოგახსენეთ, რო ქართველობის დიდ სიღარიბეს ღღეს ყველა ცხადათ ხედავს. ქართულ პრესას გამუდმებული, თითქმის გულის გამაბეზრებელი საერთო ტირილი აქეს გამართული საქვეყნოთ, რო ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, ჩვენი საზოგადო მოღვაწენი, მწერალნი, მეცნიერნი, ნასწავლი მეურნე და ტექნოლოგი, ინჟინერი, სტუდენტი, მოსწავლე და სხვებიც, ყოველი წრისა და წოდების, კლასის ქართველობა აუტანელს ეგზისტენციას—სისაწყლეს, დიდ სიღარიბეს განიცდის...

ღღეს ეს დიდი და ნათელი ჭეშმარიტი ფაქტი უკვე გამორკვეულია და ყველასგან აუცილებლათ დანახული.

II.

ამჯამათ, ამ ჩემ წერილში, გულწრფელათ მსურს ჩემი მკითხველის ყურათლება მივაქციო ერთ დიდ საგანს, იმისდა მიუხედავათ, თუ საითკენ არი მიმართული ჩემი პირადი სიმპატიები. ჩემ საკუთარ სიმპატიებს და ანტიპატიებს იქ ადგილი არ უნდა ქონდეს, სადაც მშობელი ქვეყნის გამწარებული მდგომარეობა დიდგამჭრიახობას, შორმეტვრეტელობას თხოულობს ქართველობისგან. მე უნდა გავსაბლრო ადებული საგანი ღღეს აქ, იმის ბიხედვით, თუ რას თხოულობს ქვეყნის აუცილებელი საჭიროება და მომენტი.

ქართველობას რომ ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზია არა ყავს, ამაში ყოველი პარტიის კაცი დარწმუნებულია ჩვენში. დარწმუნებულია, რა თქმა უნდა, ამაში მეზობლებიცა და უცხოელებიც. და, ამისდაგვარათ, ზოგი არაფრათაც გვიგდებს და სიცილათაც არ ყოფნის, როცა ვისმე ქართველს ხილათ სადმე დაინახავენ დიდ-დიდ საალებმიცემო, სამრეწველო საქმეში გაბმულს, ზოგს-კი გულით ვებრალებით და იგინი საცოდავ „წარმავალ ხალხათ“*) გვთლიან.

ახლაც ბერლინის ერთ გაზეთში დაუსტაბავთ ფრიად საყურათლებო მეთაური წერილი, რომელიც ბ-ნ აკაკი მდევარისთვის გადაუთარგმნია გერმანელ ქალს, ანიტა რიბბეკის ასულს (იხ. შარშანდელი „იმერეთი“). წერილის ავტორს შემდეგი მაგალითი მოაქვს: „კავკასიის ერთ მხარეს მდებარეობს კარგა მოზდილი მთა, რომელიც შედგება წმინდა ბუნერივ ზავისგან (цементъ). დიდმა ხანმა განვლო, მარა ვერცერთმა კავკასიელმა ვერ მოიფიქრა, რომ ეს დიდი სიმდიდრე მოეხმარა, რომელსაც ვამოლებაც-კი არა ჭირდება, საკმაოა მხოლოთ მისი გადმოზიდვა. მხოლოთ გერმანელმა მწარმოებლებმა მოიფიქრეს შედგომოდენ ამ საქმეს და ჩინებულათაც შეასრულეს; სიმდიდრე, რომელიც იმ მიდამოებში მოიპოვება, გამოულეველია. გერმანელი ვაჭრების ჩამომავალობა ისარგებლეს იმ ნაყოფით, რომლის მოსაპოებლათაც ადგილობრივ მცხოვრებთ მხოლოთ ხელის წაწევა ჭირდებოდათ, და, რაც მათ არა ქნეს. ბევრი რამ არის ამ ქვეყანაში (საქართველოში) სასწაულებრივი, რომელიც სხვა ერების შემოსავლის წყაროთ ხდება და რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ვერცკი ამჩნევენ. ყველა ესენი (ქართველებიო) დღემდისაც-კი იარაღში ჩამჯდარი დადის, თითქმის თელი საუკუნის განმავლობაში დრო ოდნავათაც-კი არ წაწეულა წინ, და, თითქო ჩვენი დროის ცივილიზაცია ადგილის აძლევდეს ყოველგვარ მოუხეშავ გძნობებს, კაჩაღურ თავდასხმასა და ქართული

*) ასე გვიწოდა ფრანტუზმა მოგზაურმა ამ 30—32 წ. წინათ, ავტ.

ვერაგული სისხლის ძიებას და სხვ. ასეთი მაგალითები ამართლებს იმ რუსი პოლიტიკოსების სიტყვებს, რომელნიც მოელიან კავკასიის აყვავება-აღორძინებას მხოლოთ უცხოელ მწარმოებელთა და უცხო კაპიტალის ძალით."

აი, ასეთი აზრის არიან ქართველებზე დღეს უცხო ევროპელნი, რომელთა ქვეყნებშიაც, კაი ხანია, დამკვიდრდა რთული და ძლიერი გაპიტალიზმი.

III.

თვით ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც თითქმის სულერთიანა თავად-აზნაურობის და ზოგიერთი შეძლებული საღვდელოთა შვილებისგან შედგებოდა, ყოველთვის ზიზღითა და დაცინვითაც უყურებდა გამდიდრებულს, „ღიპიან ვაჭარს", რომელიც ტომითაც უცხო იყო, დიდი დოვლათის პატრონს მოქალაქეს. ამ ინტელიგენციის იდეალი რა დასაფარავია, წინათაც სოფელში იყო და ახლაც იქ არი და ამ აჩემებულმა ძველებურმა მეურნობამ სულერთიანა დაცა და გაანადგურა ოლად საქათველო. ქართლ-კახელი სოფლის ხალხიც მტრულათ უცქერის ვაჭრობასა და აღებმიცემობას, როცა ამბობს: დაილოცა ქართველის გუთანი და სომხის დუქანიო.

როცა სომხეთის ძლიერი სამეფო აზიის ბარბაროსობამ შეუბრალებლათ დალეწა, სომხეთის შვილნი ლტოლვილ იქნენ და შეეხიზნენ საქრისტეანო სახელმწიფოებს: პოლონეთს, რუსეთს, საქართველოსა და სხვებს. ეს შეხიზნული სომხობა დღეს ბედნიერათ ცხოვრობს ამ ქვეყნებში, იმიტო, რო გამდიდრების, დიდი დოვლათის შეძენის ნიჭი ძლიერათ გაივითარეს. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა საქართველოში, სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში, პოლონეთში, რუსეთშიაც-კი, ასე გაშინჯეთ, თუ იყო წინ წასული, სომხების მეცადინობითა და გამჭრიახობით იყო ეს და, ურიებთან ერთად, იმათაც შექონდათ დიდი სიცხოველე ამ სახელმწიფოების ეკანომიური ცხოვრების ვითარებაში...

ამიტო სომხობამ ამ ასპარეზზე, ისეთი ძლიერი კაპიტალისტური ბურჟუაზია შექნა,*) რომლითაც შეუძლია დღეს თამამად იამაყოს ყოველმა კულტურულმა სახელმწიფომაც-კი... არათუ სომხობამ. სომხებსაც ამით სამართლიანად თავი მოწონთ. ეს ძლიერი და მდიდარი კაპიტალისტური ბურჟუაზიაა, რო სათავეში უდგას სომხის ნიჭიერს, დიდათ მშრომელ ერს და ამხნევებს მას ჭირსა და ლხინში. ეს საქვეყნოთ სახელგათქმული სომხის ბურჟუაზიაა, რომლის წრიდანაც გამოდიან ოსმალეთსა, სპარსეთსა, ინდოეთსა, რუსეთსა, ავსტრი-უნგარეთსა და სხვაგანაც შესანიშნავი მინისტრები, სახელმწიფო მოღვაწენი. მსწავლულნი, ლიტერატორნი, ადვოკატნი, მკურნალნი, მოძღვარნი და ბერები, კომერსანტები, აგრანომები, მხატვარნი და მსახიობნი, აგრეთვე ხელოსანნიც. ამ ბურჟუაზიამ შექნა მეცნიერება, გაამდიდრა და ააყვავა ლიტერატურა და თეატრი. ამ კაპიტალისტური ბურჟუაზიის მეოხებით და მადლით მდიდარია დღეს სომხეთის საარაკოთ მრავალტანჯული გრიგორიანთა ეკლესია და სკოლები... ერთი სიტყვით, რომელი სფერო გინდა, რომელი მხარე ცხოვრებისა, სომხეთში, რომ ამ უძლიერესი, უმდიდრესი და უმოწყალესი მარჯვენა ხელი არ ერიოს და სომხეთის ერს არ ამხნევებდეს, არ უნერგავდეს გულში უკვდავების დიდსა და სამარადისო იდეას...

ჩემი აზრის საილუსტრაციოთ შემეძლო დამესახელებია აქ პოლონეთისა და ფინლიანდიის კაპიტალისტური ბურჟუაზიაც, რომელთაც ისტორიის ქარტეხილი აღარ-კი აშინებს, რათგან იქ იმათი ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზია პირდაპირ დიდ-დიდ სამრეწველო საქმეებს, წმინდა ევროპულ ფაბრიკებსა და ზავოდებს აწარმოებს.

აი, ეს არის უმთავრესი, დიდი მიზეზი იმისა, რო მრეწველობით ისეთი ჩამორჩენილი ხალხი, როგორც რუსობაა, იმისი ახალგაზდა ბურჟუაზია, ასე გამწარებით ებძვის პოლონეთსა და

*) ამ წლიდან დაიწყებს პეტროგრადში მოქმედებას სომეხთა კაპიტალისტების ბანკი, რომლის კაპიტალი ახლავე 150 მილიონი იქნება. უმთავრესი საპერაციო არენა ამ ბანკისა, თურმე, ჩვენში იქნება. ავტ.

ფინლანდიას, რათგან ამ უკანასკნელებს თვისი საქონელი უფრო იაფათ შეუძლია გაყიდონ ხოლმე ბაზარზე, ვიდრე რუსეთის ბურჟუაზიას. იმის მაგიერათ, რო რუსის ბურჟუაზიამ თანამედროე საწარმოო ძალები თვით გაივითაროს და შექნას საკუთარი ძალებით ღონიერი, სხვილი სამრეწველო გავითარება, იგი გამწარებით ებძვის და ეომება ამ ნიადაგზე პოლონეთსა და ფინლიანდიას. მარა ამით იგი შორს ვერ წავა... მეც ეს საგანი აქ ძალიან შორს წამიყვანდა ახლა და ამაზე როდისმე ცალკე ვისაუბროთ.

IV

ქართველობამ გაიარა ფეოდალური ხანა და, ამნაირათ, იგი კულტურულ ერებს არ ჩამორჩენია იმ დროს, რათგან, მაშინდელი საზოგადო პოლიტიკურ-ეკანომიური პირობების თანახმათ, ავითარებდა თავის ცხოვრებას დღესაც, თუ ქართველობას სიცოცხლე უნდა, მიუცილებელათ, ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რო შექნას მან დღეინდელი ცხოვრების პირობა, ესე იგი, ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუზია, რომელსაც საზოგადო მეცნიერებაში უკვე დამკიცებული თვისი საკუთარი სამრეწველო ვითარების ტიპის კანონები აქვს აღსარებული ერის ცხოვრების ასაღორძინებლათ.

ჩვენში ამ ფაკტს, ესე იგი, ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიას უქონლობას, ყველა საქართველოში არსებული პარტია შეურიგდა და არც არავინ არაფრათაც აგდებს ძას. *)რათგან ყველანი არხეინათ დარწმუნებული არიან, რო ყბათ აღებული ინტელიგენცია და ხალხი, დემოკრატია გაუძღვება ერის ცხოვრების მრავალგვარ საჭიროებას, უიმისოთაც...

ამაზე უდიდესი თავის მოტყვილება და უმწარესი დაცინვა თავის თავისა მე მეორე ამბავიც აღარ ვიცი სწორეთ.

ყოვლათ მართალია, ინტელიგენცია ბედნიერ ვარსკვლავზე გაუჩდა ქართველობას და მისი მეოხებითაც მას მიენიჭა ყველა ის კულტურული და განმანათლებელი დაწესებულება, რაც-კი დღეს ქართველებს გააჩნია. სხვა და სხვა გვარი ბანკი, წ. კ. საზოგადოება, დრამატული და ეთნოგრაფული საზოგადოება, თეატრი, ჟურნალ-გაზეთობა და მწიგნობრობა, სტამბები და საეროვნო გიმნაზიები, სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები, ფილარმონიული საზოგადოება და სხ.

ვინ ამბობს, ჩვენმა ინტელიგენციამ, საერთოდ, დიდი, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია და დიდი ღვაწლიც დადვა მშობელ ქვეყანას, რამდენათაც მას გარემოება ხელს უწყობდა. ინტელიგენცია დაუზარებლათ თესავდა კარგს, საღ, შვენიერ თესლს საქართველოს ნაყოფიერ ნიადაგზე, თვისი თვალით ხედავდა კიდეც ლამაზი თესლის ამოსვლას, მის საამურათ გადაშლილ ჯეჯილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის არე-მარეზე თვალის დასატკბობლათ მწვანეთ ბიბინობდა.

მარა ქართველმა ინტელიგენციამ ვერ დაინახა ის, რაც ყველაზეუფრო საჭირო იყო საქმისთვის. ვერ დაინახა, სახელდობ, ის, რო ცოტათ გამოფხიზლებულ ხალხს, დემოკრატიას ჭირნახულის მოსაწევათ ან სახლში მოსაზიდავათ ნივთიერი იარაღების შეძენა და მოსავლის შენახვა ესაჭიროებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი, თუ ეს ნივთიერი საჭირო იარაღები ქართლოსიანთა ერს ხელში მაგრათ არ ეჭირებოდა, თელი ღვაწლი და მუშაობა ინტელიგენციისა სრულიათ დაიღუპებოდა, სწორეთ ისე, როგორც იღუპება ხოლმე გაზაფხულის პირველი ნათესობა და ვაზის კვირტი ვენახში, თუ ზამთრის სუსხი და ყინვასავით ცივი ქარი მოხვდა...

ამას, სამწუხაროთ, დღესაც, როცა ასე საჭიროა ნივთიერათ ჩვენი გაღონიერება, ვერ ხედავს ჩვენი ინტელიგენცია, ათას შეუფერებელ უტოპიებს გაუტაცნია იგი და იღვწის სასახელოთ სწორეთ ისე, როგორც იღვწოდენ ოდესღაც ჩვენი საქრისტეანო ერის დიდი მოწამენი და თვისი წმიდა, დიდი უანგარო მაგალითით ფიქრობენ გამარჯვება მოუპოვონ იმ იდეას, რომელსაც ასე თავდავიწყებითა და

*)იმდროს, ესე იგი, 1914 წ., როცა ეს სტატია დაიწერა, „საქართველო"—„სამშობლოს"—ნაც.დემ. პარტიას ორგანოები არ არსებობდა.

ავტ.

ფანატიზმითაც, ემსახურებიან. დიდება და სახელი იმათ, რო სიკვდილითაც ისინი ლამაზი, მიმზიდველისა და მეტათ მომხიბვლელი შვენიერი სიკვდილით კვდებიან და ამით ეს პატიოსანი ინტელიგენტები ჩამომავლობას უჩვენებენ ცოცხალ მაგალითს, თუ რა ძლიერი, ლონიერი სულისა და ხასიათის პატრონი ყოფილან ქართული ინტელიგენციის წარმომადგენილენი.

მარა უნდა გამოვტყდე და ვთქვა აქ, რო ცხოვრება ამ ინტელიგენციამ არც წინათ იცოდა ხეირიანათ, არც დღეს იცის... რას ითხოვდა, რაგვარ უფრო საჭირო საკითხებს უყენებდა იმას წინ ცოხვრების ყოველდღიური ბძოლა, ცხოვრების უფლებისთვის თავის გაწირვა, რა დამარაგებას, რა ნაირი იარაღებით შეეჭურვას ითხოვდა იმისგან ჩვენი თანამედროე კაპიტალისტური ცხოვრების პირობანი, რო ხალხის მტერი, მართლაც, გაენადგურებიათ და მოესპოთ, ჩვენ ინტელიგენციას სრულიათ გაურკვეველი, შეუსწავლელი დარჩა.

ამნაირათ, სულითა და გონებით ძლიერი, თითქმის გმირიც, პატიოსანი სურვილებით აღტაცებული, გამხნევებული ჩვენი ინტელიგენცია იყო სრულიათ გლახაკი, მა თხოვარზე უარესი ნივთიერი ძალებით, მატერიალურათ...

თუ ნივთიერი ძალა, ამ შემთხვევაში ვთქვათ, სანთელი, ან ნავთი ლამპარში წინდაწინვე არ არი დამზადებული, წუნწუბით მოკიდებული, სინათლე ხო მალე გაქრება და კვლავ წყვდიადი გამეფდება არემარეში. თუ ნივთიერი ძალა ორთქლივით არ ამოძრავებს ყველაგვარ კულტურულსა და განმანათლებელ საერო დაწესებულებას, იგი, მიუცილებლათ, გაქრება, „ვითა სიზმარი ღამისა“.

და აკი, მართლაც, ყოველი ქართული საერო საქმე, ჩვენდა სასირცხვოთ და თავმოსაჭრელათ, კვდება, ქრება... „ვითა სიზმარი ღამისა“.

სომხებივით ძლიერი, დიდი და მდიდარი კაპიტალისტური ბურჟუაზია რო ქართველობას გააჩდეს, მაშინ საქმე ასე დალუპული და ძირგავარდნილიც არ იქნებოდა ჩვენში.

ამიტომაც, ქართველ ინტელიგენციას ათასი ძვირფასი, ქვეყნისთვის სასარგებლო სურვილიც რო ქონდეს, პრაკტიკულათ მაინც გაუხორციელებელი რჩება, რათგან ინტელიგენცია, როგორც შვილი, სისხლი და ხორცი გალარიბებული თავად-აზნაურობისა და ღვ-ლებისა, ხელცალიერი, უკეთა ვთქვათ, ჯიბეცალიერია, ნივთიერათ საშინლათ ლატაკია.

ეს გარემოება-კი ისეთი დიდი უბედურებაა, ისეთი ძლიერი შხამია, რო ყოველივე პრაკტიკული საერო საქმე ძირშივე ისპობა ჩვენში.

V

ეროვნულ პროგრესისკენ, ნაციონალურ დიდებისკენ ქართველობას წაწევდა მხოლოთ და მარტო ეროვნულიც კაპიტალისტური ბურჟუაზია, იმისი ნივთიერი ძლიერება სისხლხორცს შეასხამდა ინტელიგენციის საიმედო სურვილებს, შემოქმედობის ძალას.

როგორც წყალს შეერთებული ცეცხლი ქმნის ორთქლს, უძლიერეს ძალას, რომელიც იმორჩილებს და ამოძრავებს უშველებელ მეხანიზმებს, ისე სწორეთ ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის ნივთიერი დოვლათი სულს ჩაუდგამდა ყოველ დიდ საქვეყნო საქმეს.

ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის ფრიად დიდ საჭიროებას რო საქვეყნოთ აღვიარებ აქ, ამით მე სრულიათაც არ ვებძვი უცხო, წმინდა ევროპულ კაპიტალს. ევროპული კაპიტალის დატრიალება რო პროგრესისკენ წაწევს თლად ქართველობას, იმაში ეჭვი მე არა ეროს არ შემეტანია. ამის შესახებ ახლახან მოკლეთ სტატიაც მქონდა დასტამბული ამ სათაურით: „კიდევ ავტონომიაზე“ (იხ. გას. წლის „იმერეთის“ № 2). პოლიტიკურ ეკანომიაში დღეს აქსიომათ არის აღსარებული ის, რო სოციალ-ბურჟუაზიის კაპიტალი ცხოვრებაში უდადეს პროგრესიულ ძალას წარმოადგენს და მწარმოებელ ძალებს აყოთარებს. კაპიტალიზმის ოელი ფილასოფიაც სწორეთ ამაშია.

მარა, როგორც ამასწინათ ერთი ქართველი პუბლიცისტი სამართლიანათ წერდა, უცხო კაპიტალის შემოსავალი, ზედმეტი ღირებულო-

ბა მხოლოთ უცხოეთში გადის საქართველოდან, იქაურ ბანკებსა და კანტორებში ტრიალობს და, მაშასადამე, უცხოეთის სიმდიდრეს კიდევ უფრო მეტ ქონს მატებს. გარდა ამისა, ევროპული კაპიტალი დიდ-დიდ სამრეწველო საქმეში ჩვენებურ ქართველ კაცს როდი გააჭაჭანებს, მხოლოთ საკუთარს, უცხოურ ძალებს მოუყრის თავს და გაობატონებს. მართველებათ, სოვდაგრებათ, ინჟინრებათ, ტექნოლოგებათ, ტექნიკებათ და სხვა მოსამსახურეებსაც სულ უცხოეთიდან მოიყვანს. მხოლოთ უბრალო შავ მუშათ აიყვანს ჩვენებურს, ადგილობრივ მუშას. ეს ასეა და წმინდა ბურჟუაზული ანგარიშებიც არი სწორეთ..

მარა ეს ანგარიშებიც არ შეადგენს თელი ქვეყნის არსებით ინტერესებს. თელი ჩვენი ერის უდიდესი ინტერესი მწარმოებელ ძალთა გაგითარებაშია, რომლის გამოც იღუპება დღეს ჩვენი ინტელიგენციის ძალლონე და გონობა-გონება, თლად ქართველების ნაჭირნახულევი და ნამუშევარი.

VI.

ერთ დროს, ქართველობა გაიტაცა სოფლის ტეტიათა შეურნობამ... მარა აქაც ფეხი წინ ვერ წავდგით, რათგან კაპიტალის უქონლობით, წარმოებრივ ძალთა გაუვითარებლობით, ცოდნაც რო გვქონებოდა, მაინც ჩვენ. ცხოვრებაში სასურველი ძირითადი ცვლილება ვერ შეგვქონდა და ევროპულათ მომზადებული შეურნე, საზოგადო პოლიტიკური მიზეზებისა გამოც, ასპარეზს ტოვებდა, ცლიდა და სახელმწიფო, ან საზოგადო დაწესებულების სამსახურში შედიოდა.

და სამერწველო შრომა ხო მაინც სრულიათ გაუვითარებელია დღეს ჩვენში...

„განა სასაკილო არ არი, რო ჩვენ რძიდან კარაქსაც ვერ ვაკეთებთო,“ ამბობს ზემოთ დასახელებული პუბლიცისტი და, აი, მეც ამიტო შევტრფი, დიდიხანია, სხვანი კაპიტალის ევროპიდან შემოჭრას საქართველოში, სადაც იგი დიად რევოლუციონურ დანიშნულებას შეასრულებს ქართლოსიანთა ერის გამდიდრების, გავითარებისა და გაღონიერებისთვის.

რა თქმა უნდა, კაპიტალის გავითარებისთვის საჭიროა მოეწყოს საცაილური წესწყობილება, სამოქალაქო ცხოვრება და მაშინ ხელშეუშლელათ, თავისუფლათაც გაშლიდა ფთებს მწარმოებელი ძალა, მრეწველობაც, მეურნობაც, აღებმიცემობაც... და ჩვენმა საკუთარმა ქართველმა კაპიტალისტურმა ბურჟაზიამ ყველა ამას უნდა გაუმაგროს ღონიერათ ზურგი, უნდა შექნას ძლიერება ამ სფეროებში ... თ�eი ქართველობა ღრმათ დაინტერესოს დიდი ენერგიითა და მღვიძრებით...

მე მოგაგონებთ აქ იმ დიდ ამბავს, რომელიც მოხდა 1864 წ. პოლონეთში, როცა პოლონეთის დიდათ გაწწარებული შვილება თვისი სათაყვანებელი მამულის პოლიტიკურათ აღდგენის იმედი გაუცრუდათ, საფრაგენთის საზოგადო მოღვაწეს — ტიერს მიმართეს და შეეკითხენ, თუ რა გავაკეთოთ ამის შემდეგ, რო ცხოვრების ასპარეზზე გავმაგრდეთო. ტიერმა უპასუხა: Enrihiss et vous, ეხე იგი, გამდიდრდითო.

„პოლონელებმა ეს პასუხი — ამბობს პროფ. ლ. ბერნგარდი, — გაიხადეს მომხიბლვა სიტყვათ, რომელმაც გამოიწვია პოლონეთში ახლანდელი ძლიერი, დიადი ეკანომიური მოძრაობა“ 1).

ტიერის სიტყვებს შემდეგ, ორმოცდათმა წელიწადმა გრიგალივით გადაიარა და მაშინდელი ლოზუნგი — „გამდიდრდითო“ პოლონეთის ძლიერმა, გოლიათმა ერმა სწორეთ დიდებულათ, გასაოცრათ გაახორციელა გაცხოველებული საქმიანობით და დიადს უძლიერეს ნაყოფსაც იმკის.

დღეს პოლონეთისანა უძლიერესი, უმდიდრესი კაპიტალისტური ბურჟუაზია ბევრ მაზე უდიდეს ქვეყნებსაც ენატრება.

დღეს პოლონეთის ამაყი შვილი თავაღებული, მხნეთ ვაყურებს იმედით სავსე მომავალს და გმირულათ მღერის:

„Ჯერ პოლონეთი არ დაღუპულაო...“

ამას წინათაც ერთმა სახელგათქმულმა

1) იხ. ლიუდოვიგ ბერნგარდი, — ბძოლა არსებობისთვის პოლონელებისა პრუსუასთან. 66. ნაწ. II.

პოლონელმა საქვეყნოთ, ყველას გასაგონათ გააცხადა: „ნურავის ავიწყდება, რომ ევროპის ხმელეთზე პოლონეთს დღეს მეექვსე ადგილი უჭირავსო...

VII.

კაპიტალისტური ბურჟუაზიას ორი ერთი მეორის, ვითომც წინააღმდეგი ძალა ამოქმედებს: ეგოიზმი და ალტრუიზმი. ეს ორი ღრმა და ძლიერი ძალა უნდა თანასწორათ შეერთდეს, შედუღდეს, ახალი საქართველოს მომავალი, თავისუფალი მოქალაქის სისხლსა და ხორცში. ეს ორი არმონიულათ შეერთებული ძალა ქართველი ინტელიგენციის უნიადაგო ალტუიზმის მაგიერათ, გაამაგრებს, გააძლიერებს, ნივთიერათ და აამოძრავებს შემომქმედს, მკვდრეთით აღმდგენელ ეგოიზმს, თელი ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის კლასისას, რომელიც ახალ ემბაზში, დიდი სათუთობით და მოწიწებით მონათლავს ახლათშობილს საქართველოს და აღზდის დიდსა და მდიდარს, ძლიერსა და ბედნიერს ქართლოსიანთა ერის შვილებს.

ალტრუიზმის იდეალები და სურვილები მაშინ რეალურათაც ცოცხლათ გახორციელდებიან შემოქმედობით ძლიერს, მდიდარ ეგოიზმში, რომელიც ძალიან თავმომწონეა, ძლიერი და საოცარიც ამ საერთო ისტორიულ კაპიტალისტურ ხანაში. იგი გადაწყვეტს იმ დიად ბძოლასაც, რომელიც ახლა წარმოებს ჩვენში თითოეულ ფეხის გადადგმაზე, ყოველს ძველსა და ახალ შორის, გძნობა-გონების, ზნეობის, სწავლა-აღზდის, მეურნობის, ვაჭრობისა და მრეწველობის ასპარეზზე. ბოლოს და ბოლოს, იგი შექმნის საქართველოს პოლიტიკურ დიდებასაც...

აი, ასეთი ჯადო ქარი, ასეთი დიადი თილისმის უხილავი ძალა უჭირავს ხელში იმას, ვინც ძლიერია და დამოუკიდებელი დღეს ნივთიერათ, მატერიალურათ.

ამ დიადი, შესანიშნავი მიზნით გამხნევებული ღდეინდელი ქართველი უნდა ენერგიულათ, მხნეთ შეუდგეს პირადი მატერიალური ქონების, დიდი დოვლათის შეძენას, გამდიდრებას, წელში გამაგრებას, ვაჭრობისა და მრეწველობის ასპარეზზე გამოსვლას, იმიტომ რო ეს საგანია ერთადერთი უტყუარი, დიდათ მაგარი საძირკველი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის გაძლიერებისა, მკვდრეთით აღდგენისა, დღეინდელს, ისტორიულ პირობებში

ხომლელი

საღღეისო

ახალი წაკითხული მქონდა ერთ ადგილობრივ გაზეთში მკურნალ მეიფარიანის შესახებ, რო მას ადგილობრივ გიმნაზიის პედაგოგიური რჩევისთვის მიურთმევია თხოვნა, მისი შვილები გაეთავისუფლებია თვისი ღვიძლი დედა ენის შესწავლისგან, რო შეხვდა ყოფნა ერთ, შეთხვევით, სამსახურის. გამო, ჩვენ ქალაქში გადმოხიზნულ, პოლონელის ოჯახში.

თუმცა ბევრი გამგონია, წამიკითხავს კიდეც და ჩემი თვალითაც მინახავს რუსეთში მათი გატაცება დედა ენით და მშობლიური ლიტერატურით, მარა, თუ ამ პატარა ჩვენ ქუთაისში იბადებოდა და ვითარდებოდა იმისანავე გატაცებული პოლონელი, როგორც შვაგულ პოლონეთში იგულისხმება, ამას, სწორეთ მოგახსენოთ, ვერ წარმოვიდგენდი. ამ ჩემ მასპინძელს ყავს რამდენიმე შვილი-ვაჟები და ქალები. ზოგი აქ არი დაბადებული და რამდენიმე პატარები ჩამოუყვანია 14 წლის წინათ. რო ჩამოსულან, ფეხიც არ გადუდგამთ აქიდან, გამუდმებით აქ ცხოვრობენ. შვენიერათ, არა თულაპარაკობენ პოლონურათ, კითხულობენ პოლონურ წიგნებს და აღტაცებით, დიდი სიამაყითაც მოგითხრობენ პოლონეთის მწერლობაზე და მწერლებზე.

ერთმა ამ ჩემი ნაცნობის ვაჟმა შარშან დაასრულა გიმნაზია. მისთვის აქ გიმნაზიაში არავის უსწავლებია პოლონური, ბევრათ, დარწმუნებულიც ვარ, უკეთ იცნობს და შეთვისებული აქვს თვისი ენა (პოლონური) და ლიტერატურა, ვიდრე რუსული ენა და რუსული ლიტერატურა, თუმცა ამ უკანასკნელს ასწავლიდენ მას გიმნაზიაში. ჩემ გაკვირვებაზე, სად, როგორ შეითვისეს ასე კარგათ, ბუნებრივათ, აქ, ქუთაისში, დედა ენა აქ დაბადე

ბულებმაც-კი, მასპინძელმა გაიოცა და მითხრა: საკვირველი რაა? საკვირველი იქნებოდა, რო ჩემ ბავშვებს თვისი დედა ენა არ ცოდნოდათ. ჩვენ სახლში სულ ჩვენ ენაზე ვლაპარაკობთო, ჟურნალ-გაზეთებიც სულ პოლონურ ენაზე დაგვიდისო, ჩვენი, პოლონელების, ერთმანეთში მისვლა-მოსვლასაც ერთი დიდი, უმთავრესი მიზანი-ენის გავითარება აქვსო.

მართალი მოგახსენოთ, შემრცხვა. ჩემი შეკითხვა უხერხულათ მეჩვენა. მაშინ და მხოლოთ მაშინ, დიდი გასხვავება ვიგძენ ჩემსა და ჩემ მასპინძელ შორის... მას არა ყავს წარმოდგენილი იმისანა რენეგატი პოლონელი, არა თუ თვით პოლონეთში, პოლონეთ გარეც, ჩვენ პატარა საქართველოს პატარა ნატეხ ქუთაისშიაც-კი, სადაც შემთხვევით გადმოხვეწილან და, შეიძლება, ისე განუტევონ სული, რო თვისი დიდათ სათაყვანებელი, საოცნებოთ შექმნილი მხარე, დედა-სამშობლო, ვედარც იხილონ და მე-კი ამისანა მოვლინება ადვილათ მხვდება არა თუ საქართველოს გარეთ, არა, თვით ჩემ გვერდით.

ვიცი ოჯახები, სადაც მხოლოთ ერთი არსება, ცოლი, უცხო ტომის, სხვა სუყველა ოჯახის წევრები იმერლებია, ქმარი, ქმრის ნათესავები, გოგო, მზარეული. ზოგს ამათგანს ქართული ენის გარდა, არაფერი სხვა ენა არ ესმის და შვილებმა-კი ერთი სიტყვა ქართული არ იციან! გიკვირს და გაოცებული ხარ?! როგორ მოინელა ერთმა არსებამ, ასე სავსებით თელი ქართველი ოჯახი. ვერ მივაწერ კულტურულ მის წარჩინებას... როგორ მოარიდა ამ ქალმა მეზობელს, მოსამსახურეებს, ნათესავებს, ქუჩას, ამხანაგებს, რო ქუთაისში ქართული ენა ვერ ისწავლეს ბავშვებმა, რომ იტყვიან, საყველ-პურთ მაინც!

ვფიქრობ და ვერ ამიხსნია!..

მე მგონია, ამ შემთხვევაში სრული, განუკითხველი ინდეფერენტიზმი უნდა მოქმედებდეს იმათში, ვინც თვის დედა-ენას ასე ექცევა: მას აკლია, როგორც ზნეობრივი, ისე გონებრივი გავითარება.

ადამიანი, რომელსაც არ აინტერესებს თვისი მშობელი ხალხის დიდი და მდიდარი წარსული, ისტორია, მწერლობა, ის სულიერ მაწანწალას ემსგავსება, ზნეობრივათ გამოფიტულია, კუჭია მისი ცხოვრების მიზანი: გაძღება, დაიძინებს, ადგება და ერთი ცხოველივით დაორუტუნებს, ეძებს გასაძღომს და ისევ დაიძინებს... ასე მარტივია მისი ცხოვრება. თორე ენის შესწავლა, მით უფრო დედა ენის შესწავლა, და მასთან ქართული ენის შესწავლა, რომელიც გაცილებით უფრო მდიდარია ბევრ ევროპულ ენაზედაც-კი, თვისი ცოცხალი, მგზნებარე გამომეტყველებით, რო ძველათ გალალებული, გავითარებული ენა, რომლის მეოხებით „ძველი სიტყვა მოკლეთ ითქმის“. რომელზეც გენიოსმა შოთამ საქართველოს აუგო ხელუქმნელი ძეგლი, ძეგლი, რომელსაც, რაც საუკუნოები გადის, მეტ სიდიადეს და სიტურფეს იღებს, აცვიფრებს კაცობრიობას და უკვდავს ყოფს საქართველოს და ქართველ ხალხს...

ამ ენის შესწავლა, არა თუ შენ მშობლიურ გონებრივ ისტორიულ გორიზონტს გაგიხსნის, გაგიფართოებს, თელი არსებით გამოჭედს ზნეობრივ-გონებრივათ ადამიანს... ადამიანი შეიგნებს, ვინ ყოფილა იგი, ვისი მემკვიდრეა, რა უფლება აქვს და რა დაეკარგა მას წინაპრებიდან, ე. ი., მასში გამოიჭედება ნამდვილი დასრულებული და შეგნებული მოქალაქე. და, თუ ადამიანი ამ მშობლიურ ემბაზში არ მოინათლა, ის საცოდავია, ის ადამიანის აჩდილია, ის მაწანწალაა, Иванъ не помнящій родства...

არ მეცოდება გადაგვარებული ქართველი. ის უიმედო, განუკურნებელი მაწანწალაა. სატირალი და სავალალო არი გადაგვარებულის მოდგმა, რომელსაც ის უჭირს, უსპობს, მშობლიურ ნიადაგზე გავითარების გზას, რო გახდეს შვენიერი და მიმზიდველი ქართველი მოქალაქე... რა უნდა თქვას კაცმა ამ საცოდავ, გადავარებულების შესახებ!?

ესენი ავათმყოფი არიან. მხოლოთ სიბრალული უნდა გამოიწვიონ ჩვენში, აბა, როგორ შესაბრალისნი არ არიან!

ვორდროპები და ლეისტები ინგლისიდან და გერმანეთიდან ილტვიან და სწავლობენ

ჩვენ მდიდარ შოთას და აკაკის ენას, რო მით შეძლონ დიდებული რუსთველის შემოქმედობის დიდებას დედანში გაეცნონ და დატკბენ მისი ძლიერებით და ესენი-კი... ესენი... პატარა კაცუნები ამ ენას გაურბიან, ივიწყებენ და თვით არ იციან, ვისთან მიდიან, ვისუნდა დაენათესავონ! პოეტის არ იყოს:

გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

აქ უნებურათ დაფიქრდები, მწარეთ დაფიქრდები!... რა დიდი გასხვავებაა ჩემ ნაცნობი პოლონელის შორის, რომელიც აქ, ქუთაისში, ჩემ მეზობლათ, ნამდვილ პოლონელ პატრიოტების შექმნას ახერხებს და ამით ამაყობს და ჩვენებურ გადაგვარებულთა შორის, რომელთაც მიზნათ აუღიათ თვის სამშობლოში (თუკი წამთ სამშობლო) მშობლიური დაივიწყონ და შვილებსაც ყოველივე გზა გადუკრან მშობლიურის შესასწავლათ!?.

ამ საკითხვის ახსნა შენთვის მომინდვია, ჩემო მკითხველო. მეკი გულს არგავიტეხ. ბუნება ჭრელია, ყოველნაირი ადამიანი შეგხვდება... არა თუ ხალხში, კერძო ოჯახშიაც ხშირათ შეხვდები, ერთი პატისონებით აღსავსე, მეორეკი ყაჩაღია... ეს ბუნების მოვლენაა...

არა მჯერა. პოლონეთსაც, თუ დღეს არა, ძველათ, უსათუოდ, ეყოლებოდა გადაგვარებულნი... დრო გაივლის, ჩვენც განვიკურნებით გზადაბნეულებისგან.

სერგი ბახტაძე.

ლ ი თ ო ნ ი დ ა ო მ ი.

(ველტმანით).

კოლონიალური პოლიტიკა ინდუსტრიალური პოლიტიკის ღვიძლი შვილია.

ჟიულ ფერი.

დღეს ყველასთვის ცხადია ის გარემოება, რო დღეინდელ ევროპის ომში ლითონს პირველი ადგილი უკავია. ევროპის ბძოლის ველი წარმოადგენს იმ უზარმაზარ ქურას, რომელშიც ათასობით ფუთი ლითონი ლღვება და ფუჭდება. ლითონი ბძოლის მამოძრავებელი ღერძი იყო საგარეო პოლიტიკაში; ლითონი ბძოლის მამოძრავებელი ღერძია ომის ველზე. ცნობილი მ. პავლოვიჩი წერდა: „ლითონის მრეწველობა თანამედროე პირველ ხარისხოვან სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში პირველს და უმთავრეს როლს თამაშობს. სახელდობ, ლითონი უკარნახებს თავის ნებას იმპერატორებს და პრეზიდენტებს და ლითონის მეფეთა ხმას დიპლომატები, გასაკუთრებული ყურათლებით უსმენენ*)...

კაპიტალიზმის ეპოქაში წარმოება თელი თვისი სიმძიმით ლითონის საფუძველზეა დამყარებული. წარმოების ზდა-გავითარებასთან ერთად, ლითონის მრეწველობის გავითარება ელვის სისწრაფით წინ მიდიოდა. 1860 წელში, თუ მხოლოთ 7 მილიონი ტონი ლითონი მზადდებოდა, 1880 წელში-კი ზდამ 30 მილიონამდი აიყვანა და 1910 წელს ლითონის დამუშავებამ 70 მილიონ ტონს მიაღწია. ლითონის წარმოება შემდეგ უფრო დიდი სიჩქარით წავიდა და დღეს გასაკუთრებით, როცა ბძოლის ველი აუარებელ ლითონს ყლაპავს, ლითონის მრეწველობა თავის გავითარების ზენაღლეს წერტილამდი ავიდა.

1900 წლამდი სოფლიო ბაზარზე ლითონის ჰეგემონია ინგლისს ეკავა; მხოლოთ ამ წლიდან დაწყებული, ინგლისი დამარცხებას განიცდის და ლითონით ბატონობას გერმანეთი იწყებს. 1913 წელში გერმანეთი 600.000 ტონით მეტს ამუშავებდა, ვინემ ინგლისი და საფრანგეთი ერთად. როდესაც ეს ორი შეწინააღმდეგე მხარე ერთი მეორეს დაეჯახა, ლითონის ძალა თელი თვისი სიფართოით გაიშალა. „თანამედროე ომში გამარჯვების საკითხი პირველათ ყოველისა, თუ სავსებით არა, არი საკითხი წარნოებისა**). ბრძოლის მოვლების

*) М. Павловичъ: „Великіе жел. дорог. и морскіе пути будущаго“ გვ. 12.

**) იხ. მ. ველტმანის წერილი: Экономическое обозрѣніе გვ. 18.

საკითხი ლითონის რაოდენობის საკითხი".

ლითონის მრეწველობის გავითარებამ თანამედროვე ომში დიდი ცვლილება შეიტანა. „თანამედროვე ომი—ამბობს ველტმანი,—ლითონის ომია". ნიუშველთან ბძოლის დროს, 14 დღის განმავლობაში ინგლისელებმა დახარჯეს ოცდენი ყუმბარა, რაც მათ ინგლისს ბურების ომის დროს დაეხარჯათ, დუნაიცოთან ბძოლაში მხოლოთ ოთხი საათის განმავლობაში გერმანელებმა დახარჯეს 1.700.000 ყუმბარა, ესე იგი, იმაზე მეტი, რაც მათ საფრანგეთ-პრუსიის ომის განმავლობაში დაეხარჯათ.

გერმანეთის იმპერიის ძლიერება სწორეთ, რო წარმოებაზეა დამყარებული. გერმანეთის კანცლერმა რეიხსტაგში დეპუტატებს მიმართა: „გამოტყდით, თუ როგორ დავალებული ვართ ჩვენ ჩვენი სხვილი წარმოებისგან, როშელიც ომის მოთხოვნილების სიმაღლეზე დგას და ზეკაცური მიზნები გაახორციელა. რო ჩვენ ეს ინდუსტრია არ გვქონებოდა, ბატონებო, დიდი ხანია, რაც ომს წავაგებდით".—გერმანეთის ეს ძლიერება პირველათ ყოველისა ქვანახშირზე და რკინაზე შეიქნა***). გერმანეთი, უმთავრესათ, ლითონის მწარმოებელი ქვეყანაა. ის პირველი ქვეყანაა ევროპაში, რომელიც ლითონის მრეწველობით პირველ ადგილზე დგას. 1903 წელში გერმანეთი ამზადებდა 10 მილიონ ტონ ლითონს; 1913 წელში-კი 19 მილ. ტონ ლითონს; ასე. რომ ათი წლის განმავლობაში, გერმანეთის ლითონის წარმოებამ ორჯელ იმატა.

აი, სწორეთ ამაში მდგომარეობს ის „გასაკვირველი" მოვლინება, რო გერმანეთმა ბძოლის ველზე არა ჩვეულებრივი ძალა გამოიჩინა. დღეინდელი გენერლები თავის ცოდნით და ნიჭით პირველ ყოველისა უნდა იყვენ სარკინისგზო ტაკტიკები და სტრატეგები. და ამ გენერლებს შეუძლიათ ბძოლა მოიგონ მხოლოთ მაშინ, როდესაც მათ ზურგს უმაგრებს, ძველი ნაპოლეონისებური ჯარის მაგივრათ, თელი ჯარი, ბრიგადები, დივიზიები და კორპუსები „სამრეწველო ჯარის კაცებისა"—ან მუშებისა, რომელნიც დღით და ღამით, განუწყვეტლივ ლითონის ქარხნებში ამზადებენ ახალ-ახალ ზარბაზნებს, თოფებს, იარაღებს და სხვ. გერმანეთმა თელი თვისი სამუშაო ძალა ლითონის ქარხნების გარშემო აამუშავა. „სამრეწველო მობილიზაცია" თანამედროვე ლოზუნგათ იქცა. ამ ლოზუნგმა ფართო ნიადაგი მოიპოვა ყველა მეომარ სახელმწიფოში. პირველათ, რასაკვირველია, ინგლისმა დაატრიალა ამ მხრით წარმოება. 1914 წლის ბოლოს სამხედრო ქარხნებში 1.986.000 მუშა იყო და 3.500.000 მდი ავიდა მხოლოთ 1916 წლის ნახევარში. და დაიწყო მუშაობა სამხედრო ქარხნებმა. და შედეგი მალე მივიღეთ. ინგლისელებმა გაიმარჯვეს სომაზე. აქ შეხვდენ ერთმანეთს ინგლისელების მოხალისე ჯარი და გერმანეთის სამხედრო ქარხნები; აქ დაეტაკა ერთმანეთს ჰესენი, რომელიც აქამდი ბძოლის ველზე მეფობდა და ბირმინგამი, რომელმაც ძველი ხავსი მოიძრო და ლითონის წარმოება გააჩაღა. ომის დასაწყისში გერმანელების საოცარი გამარჯვება დანარჩენ ქვეყნებზე ზღაპრულ ჩაბეჭდილებას ტოვებდა. და მართლაც, გერმანელების სამხედრო ორგანიზაცია და შეიარაღებანი, რომელნიც გამოჭედილი იყვენ კრუპის, ტისენის და ერჰარტის სამხედრო ქარხნების მიერ, მტრებზე დიდ უპირატესობას აძლევდენ. გალიციაში მაკენზენს გამარჯვება 42 სანტიმეტრიანმა ზარბაზნებმა მოუპოვა. აქ, დუნაიცის ფრონტზე გერმანელებმა ყუმბარებით პირისპირ მოსწვეს დ გაანადგურეს, გაანაცრეს რუსების ფრონტი. და თითქმის ყველას ეგონა, რო გერმანეთი უძლეველია, რო მისი დამარცხება შეუძლებელი გახდებოდა. და მხოლოთ მას შემდეგ, რაც ინგლისმა, საფრანგეთმა, რუსეთმა და იტალიამ იგძვნეს თვისი მოუმზადებლობა ამ დარგში და ფრონტიდან უკან გაიწვიეს მრავალი ინჯინერი და სპეციალისტი მუშები და გაიჩაღეს სამხედრო ქარხნების მუშაობა, მხოლოთ მას შემდეგ, მათ შეძლება მიეცათ, რო გერმანელების ლითონისთვის თავის საკუთარი ძალა—ლითონი დაეპირისპირებიათ და ზოგიერთი ბძოლა მოეგოთ. მხოლოთ მას შემდეგ, რაც შეთანხმები-

***) Ibid გვ. 19.

სახელმწიფოებმა სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადეს და ქარხანა—ზავოდები ფეხზე დააყენეს: ლითონი გადაატრიალეს, მხოლოთ მას შემდეგ, შეთანხმების საქმეები გამოსწორდა და გაუმჯობესდა. ასანიშნავია ის დიდი გარემოება, რო შეთანხმების სახელმწიფოებს ლითონით ეხმარებოდა ამერიკის შეერთებული შტატები 1914 წლის ივლისიდან 1915 წლის ივლისამდი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეთანხმების სახელმწიფოებს ერთი მილიარდი შეკვეთილი სამხედრო საგნები გადაცა, მხოლოთ მარტო პიტსბურგის ქარხანამ 1915 წლის ივნისის განმავლობაში, იტალიისაგან მიიღო ზაკაზი 3.000.000 შრაპნელისა, რომლის დასამზადებლათ 40.000 ტონი ფოლადი იყო საჭირო, რაც 2 ნახ. მილიონ ფუთ ლითონს უდრის. რასაკვირველია, ამ მხრით შეერთებული შტატების მიერ ომში ჩარევას და ისიც ოთხთა შეთანხმების მომხრეობას დიდი როლი უნდა ეთამაშნა დაომის ბედიც მათ სასარგებლოთ უნდა გადაეწყვიტა. მარა საქმე ის არი, რო გერმანეთმა ომის დასაწყისშივე დიდი ჭკუა იხმარა და ხელთ იგდო ლითონით და ქვანახშირით მდიდარი ბელგეთი, საფრანგეთის ჩდილო დეპარტამენტები, სადაც საფრანგეთის თელი რკინის 86 პროცენტი დამარხული, ლიუქსენბურგი, სერბიეთი და პოლონეთი, რომელიც დიდძალ ლითონს აძლევს მას. გერმანეთი ამ დაპყრობილ ქვეყნებიდან, თავის მეტათ გავითარებული ტეხნიკის საშვადებით, დიდძალ ლითონს ღებულობს. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რო გერმანეთი ლითონს სკანდინავიიდანაც ღებულობს. ლითონის გარშემო იხმარება ომი.

ლითონი წყვეტს ომის ბედსაც. ლითონი არის ომის დემიურგი. ლითონი არი გამარჯვების შემქნელი.

ეს კარგათ ესმის ყველას და ამით აიხსნება ის მოვლენება, რო გერმანეთს განადგურებას უქადიან მხოლოთ იმითი, რო სურთ მას წაართვან სწორეთ ის ადგილები, რომელიც ლითონით არი მდიდარი.

„ინგლისში დიდათ პოპულიარულია ის იდეა, რომელიც ქადაგებს, რო კრუპის ქარხნები მიწასთან უნდა გასწორდესო. ამ იდეაა ლოდიკურათ იმ დასკვნამდი მივყავართ,—ამბობს პ. მასლოვი, რო ასეთივე ბედი უნდ, ეწვიოს აგრეთვე ინგლისელების ამსტრონგისს ვიკერსის და ყველა ხხვა დანარჩენ სამხედრო ქარხნებს.

ვ. მოძველი.

პ. ნ. მილიუკოვის სიტყვა.

3 მარტი. ახალი მთავრობის შედგენა ნაშუადღევის 3 საათზე დასრულდა. ახალი მინისტრების სიით, პ. ნ. მილიუკოვი ეკატერინეს დარბაზში გამოვიდა და იქ თავმოყრილ მეზღვაურებს, ჯარისკაცებს და მოქალაქეთ შემდეგი სიტყვით მიმართა:

„ჩვენ მოწმენი ვართ უდიდეს ისტორიული წუთის. სამი ღღის წინათ, ჯერ ისევ უწყინარი ოპოზიციონერები ვიყავით, რუსეთის მთავრობა-კი უძლეველათ მიგვაჩნდა. ახლა ეს მთავრობა ტალახში დაემხო, თანაც თანშეზდილი იყო. ჩვენ და ჩვენი მემარცხნე მეგობრები-კი ჯარის და ხალხის რევოლიუციამ წამოგვაყენა რუსეთის პირველ საზოგადობრივ სამინისტროს საპატიო წევრებათ (ძლიერი და ხანგძლივი ტაში). როგორ მოხდა ეს ამბავი, რომელიც, სულ რამდენიმე დღის წინათ, წარმოუდგენელი იყო? როგორ მოხდა, რო ძველი წესწყობილების დამამხობელი რუსეთის რევოლიუცია სულ მოკლე ხანში და უსისხლოთ მოხდა ისტორიაში ცნობილ ყველა რევოლიუციათა შორის? ეს იმისთვის მოხდა, რომ ისტორიას არ ახსოვს სხვა მთავრობა ისეთი რეგვენი, ისეთი უპატიოსნო, ისეთი მხდალი და მოღალატე, როგორც დღეს დამხობილი მთავრობა, რომელმაც თავსლაფი დაისხა, დაკარგა ყოველივე თანაგძნობა და პატივი, რომელსაც ცოტათ, თუ ბევრათ ხალხთან დაეკავშირებინა. მთავრობა ადვილათ და სწრაფათ დავამხვეთ. მარა საქმე ჯერ კიდევ ნახევარი საქმე—უფრო უდიდესი წინ გვიძევს. უნდა შევინარჩუნოთ ის გამარჯვება, რომელიც ასე ადვი

ლათ და სწრაფათ წილათ გვხვდა. ეს რო-
გორ მოვახერხოთ? პასუხი სადა და ცხადია.

ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ გამარჯვება. ამისთვის-კი საჭიროა შევინარჩუნოთ ის ერთ-სულოვნობა ნებისყოფისა და აზრისა, რომელ-მაც გამარჯვებამდი მიგვიყვანა. ჩვენ, დღეინ-დელ სამინისტროს წევრთა შორის, ბევრი ძველი მნიშვნელოვანი დავა და განხეთქილება იყო. შეიძლება, ეს სხვა და სხვა აზროვნება მალე უფრო მნიშვნელოვან და სერიოზულ საქმეთ იქცეს. მარა დღეს-კი ისინი მიჩდილუ-ლი-მინაბულია იმ უმთავრეს საქმის წინაშე, რომელიც ჯერ საბოლოოთ არ გადაწყვეტი-ლა—ეს გახლავთ ახალი სახალხო მთავრობის შექმნა, ძველ, დამხობილ მთავრობის ნაცვ-ლათ. მაშ, ვიყვნეთ გაერთიანებულნი ამ მიზ-ნის მისაღწევათაც, როგორც გაერთიანებული ვართ ჩვენც. იყავით ერთსულოვანნი პოლი-ტიკურ დავის, თუნდაც მნიშვნელოვანის, უკუსაგდებათ, რათგანც დღეს მას შეუძლია გამარჯვების ნაყოფი ხელიდან გამოგვაცალოს. იყავით გაერთიანებული თქვენც, ჯარისკაცნო და აფიცრებო, რუსეთის სახელოვან და დიად ლაშქრისანო, და გახსოვდეთ, რო ჯარი ძლი-ერია თვისი შინაგანი ერთიანობით. ერთიანო-ბას მოკლებული და დაქუცმაცებული ჯარი არეულ-დარეულ ბრბოს ემსგავსება და ერთ მუჭა შეირაღებულ და დარაზმულ ხალხს შეუ-ძლია იგი ცალიერი ხელით დაიმორჩილოს. შეინარჩუნეთ ეს ერთობა თქვენთვის, და და-ამტკიცეთ, რო ძველი მთავრობის ასე ადვი-ლათ დამამხობელ, ხალხის მიერ წამოყენებულ ახალ მთავრობის დამხობა, ასე ადვილი არ არი (ძლიერი ხანგრძლივი ტაში). მე ვიცი, წარსულში იყო შეცოდებანიც, ბატონყმობაზე დამყარებული ძველი ჯარისა. მარა ახლა ჩვენს აფიცრობას კარგათ ესმის, რომ უნდა უფ-თხილდებოდეს და პატივსა ვცემდეთ ჯარის-კაცის ადამიანურ გძნობას და მოქალაქობრივ ღირსებას, გამარჯვების მომპოებელ ჯარისკა-ცებსაც კარგათ ესმით, რო გამარჯვების და-სამთავრებლათ და შესანარჩუნებლათ საჭიროა მათი მჭიდრო კავშირი აფიცრებთან (ძლიერი, ხანგრძლივი ტაში და ძახილი). მე შემომესმა ხმები, თქვენ ვინ აგირჩიათო. ჩვენ არავის ავურჩევივართ, რათგანც ხალხის მიერ არჩევ-ნებისთვის, რო დაგვეცადნა, მტერს ხელიდან ვერ გამოვგლეჯდით მართვა-გამგეობას და, სანამ ჩვენ დავაში გავერთობოდით, მტერი დაირაზმებოდა და დაგვამარცხებდა თქვენც და ჩვენც. ჩვენ აგვირჩია რუსეთის რევოლიუ-ციამ (ძლიერი, ხანგძლივი ტაში). ჩვენ მაშინ გაგვიღიმა ბედმა, როდესაც სრულებით არ ველოდით. აღმოჩდა ისეთი ჯგუფი, რომელიც საკმაოთ ცნობილი იყო ხალხისთვის თვისი პოლიტიკური წარსულით, რომელთა წინააღ-მდეგ ვერ გაისმებოდა ისეთი უკმაყოფილო ხმა, რომლის მეოხებითაც ძველი მთავრობა დაემხო. ჩვენ კარგათ გვახსოვს, რო ჩვენ თვი-თონ მოვითხოვდით ხალხის რჩეულთა წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობას. ჩვენ ერთ წუთ-საც არ შევინარჩუნებთ ამ უფლებას, რაწამს ხალხის მიერ თავისუფლათ არჩეული წარმო-მადგენელნი გაგვიცხადებენ, რო ჩვენს ადგი-ლას სხვა ხალხი უნდათ, უფრო მათი ნდო-მით აღჭურვილნი. მერწმუნეთ, ბ-ბო, ასეთ დღეებში მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება ძალა უფლების სიტკბოს არ მიეწერება. ეს ჯილდო და სიამოვნება-კი არა, ეს გახლავთ ღვაწლი და სხვერპლი (ძლიერი ტაში). რა წამს გვეტყვიან, ასეთი სხვერპლი საჭირო აღარ არისო, ჩვენ მადლობით წავალთ. მარა ახლა-კი ამ ძალა უფლებას არავის დავანებებთ, რათგანც იგი საჭიროა ხალხის გამარჯვების გასამტკიცებლათ, რათგანც, თუ ჩვენი ხელი-დან გასხლტა, მხოლოთ მტერს ჩაუვარდება ხელში. ჩვენ სამინისტროს სათავეში ჩავაყე-ნებთ რუსეთის საზოგადობრივობის დამსახვე-ლი, ძველი მთავრობის მიერ დევნილი, პირი-თ-დი ლვოვი იქნება ჩვენს პრემიერ მინისტ-რათ და საშინაო საქმეთა მინისტრათაც, რო-მელიც თავის მდევნელის ადგილს დაიჭერს. თქვენ ამბობთ ცენზიანი საზოგადობრივობაო-დიახ, ბატონებო, ეს ერთად-ერთი დარაზმუ-ლი საზდგადობრივობაა, რომელიც მო-წესრიგებას შეგვაძლებიებს ჩვენ დარუ-სის სხვა საზოგადოებათაც (ტაში). მარა

ბატონებო, ბედნიერი ვარ გაგიცხადოთ, რო მათი საზოგადოებრივობაც ჩვენზე არაა დამ-ყარებული და იმათაც თვისი წარმომადგენელი ყავთ ჩვენს სამინისტროში. ეს არის ახლა მი-ვიდე ჩუში ამხანაგის, ალექსანდრე თევდორეს ძე კერენსკის თანხმობა. იგი რუსეთის პირ-ველ საზოგადოებრივ სამინისტროში მინისტ-რობას კისრულობს. (ძლიერი ტაში) ჩვენ უსაზღვროთ მოხარული ვართ ამ საზოგადო მოღვაწეს ჩავაბაროთ სამინისტრო, სადაც იგი საკადრის მიუზღავს ძველი რეჟიმის ხალხს შტიურმერებს და სუხომლინოვებს (ტაში). ლაჩარი გმირნი შჩეგლოვიტოვის სამართლის წინაშე-კი არა, კერენსკის სასამართლოს წინა-შე წარდგებიან (ძლიერი ტაში). გნებავთ იცო-დეთ სხვა მინისტრთა სახელები? ჩემმა მეგობ-რებმა მომანდვეს ხელმძღვანელობა რუსეთის გარეშე პოლიტიკისა (ხანგრძლივი, აფრთო-ვანებული ტაში. მილიუკოვი ყველას თავს უკრავს რამდენჯერმე). შეიძლება, ასეთ საქ-მეში სუსტი გამოვდგე. მარა ერთ პირობას მაინც გაძლევთ: საიდუმლოებანი რუსის ხალ-ხისა მტერს ხელში არ ჩაუვარდება (ხანგრძლი-ვი ძლიერი ტაში). ახლა ერთს ადამიანს და-ვასახელებ, რომლის სახელი, ვიცი, ყველას არ დააკმაყოფილებს. ალექსანდრე გუჩკოვი. რაც სახელმწიფო დუმა არსებობს, ჩემი პოლიტიკური მტერი გახლდათ (ყვირილი: „მეგობარი, და არა მტერი“). ახლა, ბატონე-ბო, ჩვენ პოლიტიკური მეგობრები გახლავართ. გარდა ამისა, მტერსაც სამართალი უნდა მივ-ცეთ. გუჩკოვი მესამე დუმის დროს შე-უდგა აღორძინებას რუსეთის ჯარისას, რომე-ლიც დაუძლურებული იყო მანჯურიის მარ-ცხის გამო. მან პირველი ქვა ჩაუგდო იმ გა-მარჯვებას, რომელსაც ამ საშინელ ომიდან ჩვენი აღორძინებული და ძლევამოსილი ჯარი მოგვიტანს. მე და გუჩკოვი სხვა და სხვა ტი-პის ხალხი ვართ. მე პროფესორი გახლავართ. შეჩვეული ვარ ლექციების კითხვას, ხოლო გუჩკოვი მოქმედების კაცია. ახლა, როცა მე თქვენ გესაუბრებით, გუჩკოვი დედა-ქალაქის ქუჩებში გამარჯვების საქმეს აწყობს (ტაში). რას იტყოდით, რო მას გუშინ, იმის მაგიერათ რო სადგურზე, სადაც ჩვენი მტრების ჯარის მო-სვლას მოველოდებოდით, ჯარის დამზადებისთვის თავი დაენებებია და ჩვენს კამათში ჩარეულიყო? მტრის ჯარი ჯერ ქუჩებს დაიჭერდა, მერე, ამ დარბაზს. რა დაგვემართებოდა მე და თქვენ? საზღვაო მინისტრი ჯერ ვერ ვიშოვეთ. ეს საქმეც ჯერჯერობით გუჩკოვს ჩავაბარეთ. ორი ადგილი მივეცით იმ ლიბერალურ ბურ-ჟუაზიას, რომელმაც მუშა ხალხის წარმომად-გენლობის მოწყობა სცადა. ესენი ვახლავთ კონოვალოვი და ტერეშჩენკო.

ბატონებო! გამოკვების საქმე უძნელესი საქმეა რუსეთში, მისი ძოწყობა შინგარიოვს მივანდვეთ და იგი ნიწეთ მოქმედების მინისტ-რათ დავნიშნეთ, ხოლო გზათა მინისტრათ ავირჩიეთ მემარცხნეთ, მოყვარული ნეკრასო-ვი (ყვირიან: „პროგრამა სად არი?„ პროგ-რამა გუშინ ლამის კრებამ შეადგინა მუშათა სიბჭოსთან ერთად და მას, საცაა გაათავებენ. იმედია რამდენიმე საათის შემდეგ, ამ პროგრა-მას გაიცნობთ (ყვირილი: „დინასტია?“). ვიცი რო ჩემი პასუხი ყველას არ დააკმაყოფილებს. ბებერი დესპოტი, რომელმაც რუსეთი დანგ-რევამდი მიიყვანა, თავის ნებით უარს იტყვის სამეფო ტახტზე, ან გადაყენებული იქნება (ტაში). ძალა გადავა რეგენტის ხელში, ხო-ლო რეგენტათ ინიშნება დიდი მთავარი მი-ხეილი ალექსანდრეს ძე (ხმაურობა, ტაში). მემკვიდრეთ იქნება ალექსი („ეს ხომ იგივე დინასტიაა“). დიახ, ბატონებო, ეს არი ძველი დინასტია, რომელიც, შეიძლება, არც თქვენ და არც მე გვიყვარდეს. მარა დღეს საქმე სრულებით ის არ არი, თუ ვის, რა უყვარს. ჩვენ არ შეგვიძლია უპასუხოთ დავტოვოთ ჩვე-ნი სახელმწიფო წესწყობილების ფორმის სა-კითხი. შეიძლება, ბევრს ეს საკითხი სხვანაი-რათ ესმოდეს. მარა დღეს დრო არ არის ამა-ზე ლაპარაკისა. ჩვენ პროგრამაში თქვენ ნა-ხავთ მუხლს, რომელიც გვავალებს მოიწვიოთ საერთო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით დამფუძნებელი კრება. თავისუფ-ლათ არჩეული ხალხის წარმომადგენლები უკეთ დაგვანახებენ იმას, თუ ვინ უფრო სწორეთ გა-

მოთქვამს რუსეთის სურვილს: ჩვენ, თუ ისინი. ბ-ნებო. მე ხმა წამერთო, ლაპარაკი აღარ შემიძლია. ნება მიბოძეთ, ჯერ-ჯერობით ამით გავათავო. (დაუსრულებელი ოვაციებით უმასპინძლდებიან ორატორს).

კერენსკის სიტყვა.

2 მარტს, საღამოს, ახალმა იუსტიციის მინისტრმა, ა. თ. კერენსკიმ ეკატერინეს დარბაზში წარმოთქვა სიტყვა ჯარისა და მოქალაქესადმი. ახალი მინისტრის ტრიბუნაზე გამოსვლისთანვე ვეებერთელა ეკატერინეს დარბაზი მოიცვა მქუხარე ხანგძლივ ტაშის ცემამ ათასობით ხალხისა. „ამხანაგებო, ჯარის კაცებო და მოქალაქენო, დაიწყო იუსტიციის მინისტრმა. მე, დეპუტატი ალექსანდრე თეოდორეს ძე კერენსკი, მინისტრი იუსტიციისა (გაისმის ტაში და „ვაშას“ ძახილი), ვაცხადებ საყურადღებოთ, რომ ახალი დროებითი მთავრობა შეუდგა თვისი მოვალეობის შესრულებას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან შეთანხმება, რომელიც მოხდა სახელმწიფო დუმის აღმასრულებელ კომიტეტის, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შორის, მოწონებულია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ, რამოდენიმე ასი ხმით წინააღმდეგ 15-სა (მქუხარე და ხანგრძლივი ტაში და „ბრავოს“ ძახილია). ახალი მთავრობის პირველი აკტი იქნება საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება. ჩვენი ამხანაგები, დეპუტატები მეორე და მეოთხე დუმისა, უკანონოთ გაგზავნილი ციმბირის ტუნდრებში, საჩქაროთ გათავისუფლებული იქნებიან და გასაკუთრებული პატივით მოყვანილ იქნებიან აქ. ამხანაგებო! ჩემ განკარგულებაში არიან ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარენი და ყველა მინისტრები, ძველი რეჟიმისა. ისინი პასუხს აგებენ, ამხანაგებო, ყველა დანაშაულობისთვის ხალხის წინააღმდეგ, თანახმათ კანონისა (ხმები „შეუბრალებლათ“). ამხანაგებო! თავისუფალი რუსეთი არ მიმართავს ბძოლის იმ საზიზღარ საშვალებებს, რომლითაც ძველი მთავრობა ხელმძღვანელობდა. გაუსამართლებლათ არავინ არ დაისჯება, ყველას გაასამართლებს ხალხის საჯარო სასამართლო. ამხანაგებო, ჯარისკაცებო და მოქალაქენო! ყველა ზომები, რომელიც მიღებულ იქნება ახალ მთავრობის მიერ, გამოქვეყნდება. ჯარის კაცებო! გთხოვთ, თქვენ დახმარება გაგვიწიოთ. თავისუფალი რუსეთი იშვა და არავის არ ძალუძს, ხალხს თავისუფლება ხელიდან გამოტაცოს. ნუ აყვებით მოწოდებას, რომელიც ძველი მთავრობის აგენტებისგან გამომდინარობს. დაემორჩილეთ თქვენს აფიცრებს. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს. (მხურვალე ტაში და „ურას“ ძახილი).

კარლო ჩხეიძე და ჯარი.

დეპუტატ ჩხეიძემ, რომელსაც აფრთოვანებით მიეგება ხალხი, აფიცერთა და ჯარისკაცთა თანხმობით, წარმოთქვა სიტყვა რევოლიციონური ჯარისკაცის გაცისკროვნებულ დიდებაზე, რომელსაც ხელსუწყდის რევოლიციონური გმირი მუშა. მოუთხრობს „ოხრანკას“ უკანასკნელ პროვოკაციონურ ხრიკებზე, რომელთაც გამოსცეს საზიზღარი პროკლამაცია და მოუწოდებდენ ჯარისკაცებს დაეხოცათ აფიცრები. ორატორი მოუწოდებდეს ჯარისკაცებს მიესალმონ აფიცრებს, როგორც მოქალაქეებს, რომელთაც ასწიეს მაღლა რევოლიციის და რუსეთის თავისუფლების დროშა. მრავალ რიცხოვან ჯგუფს მუშებისას, ჯარისკაცებისას და აფიცრებისას მიყავს კარლო ჩხეიძე ხელით.

სხვა და სხვა ამბავი.

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცენ ყოფილ მეფეს, უმთავრესათ ორი აზრი ტრიალებს. მუშათა დეპუტატების საბჭოს აზრით, ნიკოლოზ მეორე, უსათოთ რუსეთში უნდა დარჩეს, ვინაიდანაც ბევრი სამხედრო საიდუმლეებანი იცის და შურის ძიებიდ, გატაცებული, ყველა ამას ბოროტათ გამოიყენებსო. დროებითი მთავრობა კი ამ საკითხს წინააღმდეგი თვალსაზრისით უყურებს და ფიქრობს, რო ხალხის დასამშვიდებლათ აუცილებელია მისი რუსეთის საზღვრებიდან გაძევება. ამას გარდა, საჭიროა, რომ იქაც არ ქონდეს თავისუფლ ე

ბა და მუდმივათ თვალ-ყური ადევნონ მის მოქმედებას. ასეთი განძრახვის სისრულეში მოყვანა შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, თუ მეფეს ინგლისში გაისტუმრებენ. ასეთ შემთხვევაში, დროებითი მთავრობაც და მუშათა დეპუტატების საბჭოც დათანხმდება, რათგანც სრული გარანტია ექნებათ იმისი, რო მეფეს ყოველგვარი საშვალება მოესპობა, კავშირი იქონიოს ყოფილ დედოფალთან და ჩვენ მტერთან. მეფის უცხოეთში გასტუმრების წინააღმდეგნი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ერთხელ რასპუტინს სასახლეში მოუთხოვია გერმანეთში დატყვევებული აფიცრის გათავისუფლება. დედოფალმა დაიწერა აფიცრის სახელი და ადგილი, სადაც ის ტყვეთ იმყოფებოდა. ორი კვირის შემდეგ, ეს აფიცერი პეტროგრადის ქუჩებზე დასეირნობდა.

—

გადმოგვცენ, ორ რომანოვის გვარეულობას განძრახვა აქვს, განიმეოროს ლიუდოვიკ მე 17 მოქმედება რევოლიუციის კოალიციასთან ბძოლის დროს. ამიტომ ამალიდან ბევრი პირები დააპატიმრეს.

—

მრავალ გერმანულ გაზეთებში აცხადებენ, რო გერმანეთის მთავრობას სურდა რუსეთის ძველ მთავრობასთან სეპარატული ზავი ჩამოეგდო, მარა არ მოისურვესო. ერთად ერთი ხსნა გერმანეთისა ის არი, რომ ჰინდენბურგმა რუსეთის აპარეზზე გაილაშქროს, დაიპყრას რუსეთი და აბსოლიუტიზმი დაამყაროსო.

—

უკრიანელები ითხოვენ დამფუძნებელ კრების მოწვევას, დემოკრატულ რესპუბლიკას, უკრიანულ ენის შემოღებას სკოლებში და სასამართლოში და უკრაინისთვის ავტონომიას.

—

პოლტავიდან იუწყებიან: ქალაქში ყოველგვარი სანოვაგე დიდძალია, სიძვირემ ძალზე დაიკლო, გახარებულ გლეხებს ათათ ვაგონობით მოაქვთ ხორბალი.

—

პეტროგრადში მყოფ ქართველთა საზოგადო კრებამ ერთხმათ აღიარა, რო მომავალ დამფუძნებელ კრების მოწვევა, აუცილებლათ, გვავალებს თელი ქართველობა შემოვკრბეთ ქართველ ერის დარღვეულ პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის გარშემო, და საქართველოს ყველა ჯგუფისა, კლასისა, წოდებათა და პარტიათათვის ხელსამძღვანელო ლოზუნგათ უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობა. აღდგენა ავტონომიის სახით საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, რომელსაც განუწყვეტელი კავშირი უნდა ქონდეს რუსეთთან. ეს კავშირი უნდა გასაზღვროს გასაკუთრებულმა კანონმა.

პოლიტიკური ინფორმაციისა და სხვა ეროვნებათა ორგანიზაციებთან დამოკიდებულებისთვის არჩეულია კომიტეტი: ივ. ჯავახიშვილი, ნინო გელოვანისა, ი. ყიფშიძე, ნ. სიდომონერისთავი, ზ. ავალიშვილი, ალ. ჩერქეზიშვილი, ნუცუბიძე.

—

„ვეფხის-ტყაოსანი“ გადაუთარგმნია ჰუნგრულ ენაზე ბუდაპეშტის აკადემიის წევრს, პროფესორს პოეტს, ბელა ვიკარის. წიგნი უკვე გამოუციათ იმავე ზიჩის სურათებით, რომლითაც ქართული წიგნია დახატული. ამ ამბავს გვატყობიებს ავსტრიაში ტყვეთ წაყვანილი ქერთველი გრ. წერეთელი.

—

ამიერიდან ჩვენი ჟურნალი **„ცხოვრების“** მაგიერათ გამოვა ახალი ჟურნალი **„თავისუფლება“** აგრეთვე სურათი, მიჯაჭვული ამირანისა, ახალ ჟურნალს აღარ ექნება, რათგან ამირანმა უკვე გაწყვიტა ის ჯაჭვი. მზადდება შესაფერი ემბლემა მის მაგიერათ.

—

ოქმი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ ცხოვრების აღდგენისა, დაწერილი 12 მარტს, მცხეთაში. 1917 წელსა, მარტის 12 დღესა, მცხეთის წმიდათა ათთორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საქათალიკოზო საყდარში, კვირა დღეს, შევიკრიბენით რა, ჩვენ, საქართველოს ეკლესიის მწყემსთ-თავარნი, საღვდელოების კრებული და სამწყსოთა წარმომადგენელნი, შევასრულეთ წირვა და საველრებელი პარაკლისი რუსეთის ახალი მთავრობის საკეთილდღეოთ, გავითვალისწინეთ რუსეთის სახელმწიფოში მომხდარი ძირითადი ცვლილებანი და ახალი მთავრობის დაფუძნება და მის საყოველთაო საზოგადოთ ხელსამძღვანელო დებულებანი და გასაკუთრებით სინოდისის და სარწმუნოების თავისუფლების მისგან აღსარება (მუხ. 3), მივიღეთ რა მხედველობაში: ა) ვინაიდან ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლათ, რომელსაც

ქონდა სოფლიო კრებათა დასტური, რომლის მოსპობა, ან გაუქმება არ ექვემდებარებოდა არავითარ ძალას, გარდა სოფლიო კრებათა და სრულიათ არაკანონიურათ შეუჩერეს მისი ავტოკეფალური მართვა-გამგეობა; ბ) ვინაიდან რუსეთის სახელმწიფოში დაწესდა ახალი სახელმწიფო მართვა-გამგეობა, რომელსაც აღარ შეესაბამება საქართველოს ეკლესიის უფლება-ახდილათ ყოფნა, ამისთვის, აუცილებლათ, ვ(კანით ერთხმათ და ერთსულოვნათ დავადგინოთ:

ა) საჩქაროთ განგძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობა, ხოლო ვიდრე სრულ-კანონიურ ნიადაგზე მოხდებოდეს საქართველოს ეკლესიის ქათალიკოზის არჩევა, დროებით დაინიშნოს ქათალიკოზის ადგილის აღმავსებლათ საქართველოს ეკლესიის გამგეთ საღვდელო და საერო პირთაგან შემდგარი დროებით აღმასრულებელი კამიტეტი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის, ლეონიდეს თავმჯდომარეობით.

ბ) ვინაიდან საქართველო გულწრფელათ აღიარებს რუსეთის ახალ მთავრობასთან სრულ სოლიდარობას, თვისის არსებობის ქვაკუთხედათ, ამისთვის ეს დადგენილება მოხსენდეს რუსეთის ახალ მთავრობის თავჯდომარეს თავად ლვოვს, სინოდის ობერ-პროკურორს, ბ. ლვოვს და ეცნობოს თფილისში კავკასიის კომისარიატს (ხელს აწერენ ღვდელ-თავარნი, საღვდელონი, წარმომადგენელნი ქართველ თავად-აზნაურობისა, სხვა და სხვა საკულტურო დაწესებულებათა, საქართველოს ქალაქთა და თლად დამსწრე ხალხი.

როგორ მოხდა.

(პეტროგრადის ამბები.)

ჭეშმარიტად, ეს იყო ფეერია—ტრაგიული დიდებული და ბწყინვალე. ყველაფერი გასაოცარი სისწრაფით მოხდა ისე, რო პირველ ხანებში ძნელი იყო ამბების გარკვევა.

მარა ყოვლის უწინარეს რა იყო საბაბი რევოლუციონური მოძრაობისა? ყველანი ერთ ხმათ ამბობენ: 25 თებერვალი, როცა ჯარის კაცებათ გადაცმულმა პოლიციელებმა უმიზნოთ და უსაფუძვლოთ დაუწყეს სროლა მშვიდობიან ხალხს გასტინი დვორთან, ევროპული სასტუმროსა და ქალაქის თვითმართველობის კოშკიდან.

ასაშფოთებელი იყო. დაიღუპენ სრულიათ უდანაშაულო ადამიანები. არაოდეს დამავიწყდება ერთი გიმნაზიელი და მოხუცი, რომლებიც ქუჩაზე გადადიოდენ და სისხლით შესვრილი იქვე დაეცენ.

ეს სროლა პროვოკაციას გავდა. ხალხმაც სწორეთ ასე შეხედა.

და, როდესაც 26 თებერვალს, ნევის პროსპექტზე კვლავ გამოჩდენ გადაცმული პოლიციელები, და დაიწყეს სროლა და კიდევ ისხვერპლეს ასამდი ადამიანი, აჯანყებამ იფეთქა.

რისთვის? რა დანაშაულისთვის? რა დააშავა ხალხმა, რომელსაც საჭმელი აღარ აქვს? რა დააშავეს იმ მეომრებმა, რომელიც, სხვებთან ერთად დასეირნობდენ ქუჩებზე?

საღამოს ქალაქი ალყა შემოარტყმულ ბანაკს გავდა.

დაბნელებული ქუჩები, აფიცრული მაღაზიები, აღელვება, ტკივილი და სევდა. რედაქციებმა გაიგეს, რო დუმა დაითხოვეს, მარა დეპუტატებს არ უნდათ დაიშალონენ.

პური კიდევ უფრო შემცირდა. ქალაქი ხმებით იკვებება. გაზეთები არ გამოდიოდა. ტრამვაი შეჩერდა, მეეტლეები და პოლიციელები სადღაც მიიმალეა.

27 თებერვალიც სროლით გათენდა. ამბობდენ, რო ვიბორგის მხარეზე ისვრიან — და წუხელის სახელმწიფო დუმამ მეტათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ნევის პროსპეკტზე ყაზახები არიან. ლიტეინი, ვლადიმირის, სადოვაია და მორსკაია ხალხითაა გაჭედილი.

2 საათზე შემხვდა ნაცნობი ჟურნალისტი, რომელიც ხმა მაღლა გაიძახოდა: პრედვარილკა (სატუსაღოა) გაანადგურეს! პრესტეჟიდან (ესეც სატუსაღოა) ყველანი გამოუშვეს. ახლა მუშებმა და სალდათებმა ავტომობილით გაიარეს ნევის პროსპეკტზე. ტყვიის მტყორცნელები მიქონდათ არსენალიდან. არსენალი აღებულია.

ეს ამბავი მოულოდნელი იყო და ყუმბარასავით გავარდა.

— როგორ? ნუ თუ მართალია? ასე მალე?

— თვითონ ჯარები აჯანყდენ, არ ვესვრით ხალხს.

პირველათ აჯანყდენ პოლონელები.

ესეცაა ცეცხლი წაუკიდეს საოლქო სასამართლოს. არსენალიდან იარაღს ურიგებენ ხალხს.

იწვის ახლობელი ნაწილი კიროჩნი ქუჩისა, ალყა შემოარტყეს ჟანდარმებს.

ვოლინის პოლკს შეუერთდენ ლიტოვის პოლკი, პრეობრაჟენელები, საპიონერები, ავტომობილების რაზმი. შეუერთდენ სხვა პოლკები.

ისმის სროლა, გრიალი, ტყვიების სტვენა. გარბიან სწრაფი დახმარების ავტომობილები.

ნევის პროსპეკტი საკმაოთ დაცალიერებულია. ხალხი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის. სროლა ხან ერთ ალაგას ძლიერება, ხან—მეორეს...

საავათმყოფოებს და თავშესაფარებში ადგილი აღარაა. სამლოცველოები გაივსო მკვდრებით.

სადამოს მდგომარეობა გამოირკვა. დაეცა პეტრეპავლეს ციხე, ლიტვის კოშკი, ხმებია, რო გალიცინმა სამსახურს თავი გაანება. ძველს მინისტრებს ატუსაღებენ. პროტოპოპოვი რაღაცას ბოდავს და უნდა თვისი თავი დიკტატორათ გამოაცხადოს...

თელი ღამე არ შეწყვეტილა სროლა.

გათენდა. ამოვიდა ლამაზი მზე, მარა პეტროგრადი დუღს, ბობოქრობს.

ყველანი სადღაც მირბიან, დავობენ. არ გჯერა, რომ ეს ყველაფერი პეტერბურგშია, რომ ეს რუსეთია, რომ ეს სინამდვილეა...

მოვედით სახელმწიფო დუმაში. აქ მრავალი დაჭრილია, ჭრილობებს უხვევენ, უვლიან. აქვე არიან ჯარის-კაცები. მიტინგია. აი, ლაპარაკობს კერენსკი, დაქანცული, გაფითრებული: დადგა საათი... ვიყვნეთ მტკიცეთ. ერთხელ კიდევ შემოვიკრიბოთ ძალი და ღონე.

ლაპარაკობს მილიუკოვი და მოუწოდებს ჯარებს წესიერებისა და დისციპლინისთვის.

გავსრდა საშხიარულო ხმა: პიტერში მოყავთ!—ურა! იგრიალა ხალხმა.

მერე, მოვიდა ცნობა, თუ როგორ დაიჭირეს კურლოვი, რომელსაც მრეცხავ ქალის ტანისამოსი ჩაეცვა და ისე იმალებოდა.

სამ საათზე დუმის ახლობელ სახლებიდან სროლა აუტეხეს. რამდენიმე კაცი ისხვერპლა...

საღამო საშინელი და მრისხანე დადგა, ქალაქი ღრიალებდა, როგორც დაჭრილი და დაკოდილი ნადირი. თელი ხალხი გარეთ იყო.

პროტოპოპოვი დაატუსაღეს. რევოლიუციონერებმა აიღეს საადმირალო...

როგორც იყო, გათენდა 1 მარტი და გათავდა ბრძოლაც. ქუჩებში სიწყნარე ჩამოვარდა. მაღაზიები გააღეს. გამოჩდენ მეეტლეები. ქუჩა ამოძრავდა ჩვეულებრივათ.

ხალხმა გაიმარჯვა—არა თუ დაამარცხა ძველი მთავრობა, არამედ თავისუფლებისთვის შეიკავა თავი და აცდა უწესობას, არ იწყო რბევა—აწიოკები... (კ. მ.)

რომანოვების დინასტია.

რუსეთის დემოკრატია რესპუბლიკის დამყარებას მოითხოვს. და, აი, სამეფო საგვარეულოს წევრთა ალაგმვას შეუდგენ.

მეფე მუდამ რეაქციას ემსახურება. ტახტის გარშემო თავმოყრილია ბნელი ძალები, რომელნიც მზათ არიან პირველი შემთხვევისთანვე თავისუფლებას ეკვეთონ და ხალხი დაიმორჩილონ. ეს კარგათ იციან რევოლიუციის მეთაურებმა. და, აი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოთხოვნით, დროებითმა რევოლიუციონურმა მთავრობამ მეფე ტახტიდან გადააყენა, ხოლო უკანასკნელ დღეებში კიდევაც დაატიმრა და ცარსკოე სელოს სასახლეში მოათავსა. დესპოტი, რომელიც არ ინდობდა თავისუფლებისთვის მებძოლთ და მათ კატორღით და სახჩობელით უმასპინძლდებოდა. დღეს თვით მოკლებულია მზის სხივებს და მოელის რევოლიუციონურ მთავრობის საბოლოო განაჩენს. რაც დათესა, იგივე მოიმკო! ხალხი დესპოტთა ალაგმვას შეუდგა.

მარა ეს მხოლოთ პირველი ნაბიჯია. გარდა მეფისა, რევოლიუციისთვის დიდ საფთხეს წარმოადგენს თელი სამეფო საგვარეულო. ყველა დიდი მთავრები განაგებდენ დამონებული ხალხის სვებედს და მას თვის გემოზე ალამაშებდენ. ისინი მეფეესთან ერთად ინაწილებდენ სახელმწიფო ძალაუფლებას, აგრეთვე იმ აურაცხელ ქონებას, რომელსაც ხალხი ათასნაირი გადასახადის სახით ამ მუქთა ხორებს ძალდატანებით აძლევდა. ცხადია, დიდი მთავრები პირველ ხელსაყრელი შემთხვევისთანვე კონტრრევოლიუციის მოწყობას შეუდგებიან. ამიტომაც არი, მათ წინააღმდეგ შესაფერ ზომებს იღებენ.

ნიკოლოზ მეორე უკანასკნელმა ტახტიდან გადაყენების წინ, უმაღლესი თავარსარდლობა კავკასიის ნამესტნიკს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს გადაცა. ეს დიდი თავარი წარსულში რეაქციის საუკეთესო ბურჯს წარმოადგენდა. ხოლო უკანასკნელ დროს, ეჭვს გარეშეა, სამეფო გვირგვინს ეპოტინებოდა. ჩაბარეთ მას ჯარი და ის, ეტიუოდ, ისარგებლებს მთავრობისა და რევოლიციონერთა დროებითი წაფორხილებით და კონტრრევოლიუციის დროშას აფრიალებს, რო ტახტს დაეპატრონოს და ხალხის ერთგულ მოსარ-

რომელსაც მიზნათ აქვს ჩვენში გახეთქილება შემოიტანოს. უნდა განვაცხადო, რო, თუ გინდათ, წავალ. მინდა ვიცოდე, მენდობით, თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ ვიმუშავებ, არ შემიძლია. (მინისტრი ამ უკანასკნელ სიტყვებს საშინელი მღელვარე ტონით ამბობს. დარბაზი ტაშის ცემისგან გრგვინავს. ისმის ხმები: გთხოვთ, დარჩეთ, იმუშაოთ, გენდობით თქვენ, მრავალ მილიონიანი ჯარი გენდობა, ალექსანდრე თევდორეს-ძევ!) მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რო თავი გამემართლებია. არ მივცემ არავის ნებას, რო ჩემზე ეჭვი შემოიტანოს თელ რუსეთის დემოკრატიაზე. (ახმაურებელი ტაშის ცემა და ოვაციები) კრების თავმჯდომარემ გააცხადა: ჯარის კაცთა დ დეპუტატების მხრივ, უხდობლობაზე ლაპარაკი ზედმეტია, კერძო პირების ასეთ გამოსვლებს ჩვენ ყოველთვის ვგმობდით. ჯარი თქვენ გენდობათ ისე, როგორც თელი დემოკრატია. კერენსკის გული შეუღონდა და სკამზე დაეშვა. ის მოაბრუნეს და მან თქვა: მე აქ წარმოთქმულმა სიტყვებმა არამც თუ დამაკმაყოფილა, არამედ მეტიც მომივიდა. უკანასკნელ ძალღონეს არ დავიშურებ და ვიმუშავებ თქვენს კეთილდღეობისთვის. თუ ეჭვი დაგებადოთ, ნუ დამერიდებით და დღით იქნება თუ ღამით, მოდით ჩემთან საჩხუბრათ. კერენსკი სკამზე დააჯინეს, ხელით მაღლა აიტაცეს ისე ახმაურებული ტაშისცემითა და ოვაციებით გამოიყვანეს დარბაზიდან

რედაქციისგან.

ეურ. „თავისუფლების“ ფონდის სასარგებლოთ მივიღეთ:

1) დავით დიმიტრის ძე ტატიშვილისგან 5 მან.

2) მიხაილ გრიგოლის ძე სესიევისგან — 3 „

შემომწირველთ გულწრფელ მადლობას მოახსენებს რედაქცია.

რედაქტორ-გამომცემელი **რომანოზ ფანცხავა.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერათ სწავლა-აღზდის საქმეს, ეროვნულ ნიადაგზე. „განათლება“ აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან დ სიტყვაკაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივათ ყოველ თვე, გარდა ზაფხულის ორის თვისა (ივლისი დ აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივათ იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. მ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში **ვ. ავალიშვილთან**, „Новая рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში, **კიკნაძესთან** და „განათლების“ კანტორაში, ოლლას ქ. № 6. წლიურათ ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თფილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშვალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნუმერი ჟურნალისა ღირება 50 კაპ. **მისამართი:** Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія, Л. Г. Бошвадзе. რედაქტორ-გამომცემელი **ლ. ბ. ბოცვაძე.**

„სახალხო ფურცელი“

ნახატებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მან. **წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ:** ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 აპრილისთვის 4 მ. და 1 აგვისტოსთვის 4 მან. კანტორა ხელის მოწერისთვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდი, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდი. რედაქციის მისამართი: თფილისი, **„სახალხო ფურცელის“** რედაქცია, სახალხის ქუჩა, № 6. Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцела“. Поч. ящ 190.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისგან. სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქ., გოკიელოვის სახ.

| წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს | წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„თავისუფლება-ზე“

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ.) წლიურათ ჟურნალი ღირება 6 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრებს ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თფილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. მიხაილოვში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ლანჩხუთში—ლუკა გ—ძე ურუშაძესთან, და ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Ланцхава.

დაიწყო ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო-ზე“ 1917 წლისთვის.

(წელიწადი მესამე)

გაზეთის ფასი: ერთი წლით 15 მან., ნახ. წლით 8 მ. ერთი თვით 1 მ. 50 კ. ცალკე ნუმერი 7 კ. თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოთ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილ-ნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისთანვე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანათიც ივნისის გასულს. რედაქციის კანტორა ღიაა დილის 8 საათიდან სამ საათამდი და ნაშვადღევის 5 საათიდან 8 საათამდი. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდი. რედაქტორი—ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლო**“. მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. სახლი მიქელაძისა.

დეპეშებისთვის: ქუთაისი, „სამშობლო“.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის

ყოველ დღიურ საპოლიტიკო საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ,

„საქართველო-ზე“

ყოველკვირულ ნახატებიან დამატებით.

გაზეთი არის ეროვნულ დემოკრატულ მიმართულების. განსაკუთრებულ ყურათღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა მრეწველობის, სასოფლო მრეწველობის, სასოფლო მეურნობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას. გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთის ფასი: თელი წლით—15 მ. ნახევარი წლით 9 მ. სამი თვით 5 მ. ერთი თვით ქალაქში 1 მ, 80 კ. ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთი თვით, ფოსტის საშვალებით, არ მიიღება. არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიური ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება, შემდეგი წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ ივნისისთვის 3 მან. ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურათ, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე მოწერის დროს. რედაქციის მისამართი: თფილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.—საღამ. 5—7-მდი. რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი გამომც. ამხ. „საქართველო“.